

ბავშვთა

უფლებები

N2(3), 2023

ბავშვის უფლებათა
დეკლარაციების

შეძენის შესახებ

ვის აქვს უფლებები?
ყველას

სტრატეგიული საკითხები, რომლების

ინალუზიური განათლების

წინაპირობას ქმნის



ISSN 2720-8621



9 772720 862008



სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

ბერიკა შუპაკიძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორი

მანანა ჰინჭარაძე

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
ინოვაციური განათლების პროგრამის
კონსულტანტი

ნათია ალიაშვილი

არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მორის ბარამია

განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის
უფროსი

ნინო ტყეშელაშვილი

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა
რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის
დეპარტამენტის უფროსი

მთავარი რედაქტორი

ანი კულუხაშვილი

კორექტორი

მაია ნიკალაური

დიზაინერი

ბისიკი დანელია

ფოტოგრაფი

გილა ბაძიაშვილი

ყდაზე მზანა ხორბაშვილის
პოსტერი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა

პროფესიული

განვითარების

ეროვნული ცენტრი

მისამართი:

თბილისი,

ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N6,

ელფოსტა:

info@tpdc.ge

ISSN 2720-8621

ჟურნალში გამოქვეყნებულ

პუბლიკაციებში გამოთქმული

ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ

ემთხვეოდეს მასწავლებელთა

პროფესიული განვითარების

ეროვნული ცენტრისა და

ჟურნალის რედაქციის

შეხვედრებს. ცალკეულ

სტატიაში დასახელებული

ფაქტების უცუარობაზე

პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

ანი კულუხაშვილი

მთავარი რედაქტორი,
ინოვაციური განათლების პროგრამის მენეჯერი

პირველ რიგში, სასკოლო საზოგადოების
თითოეულ წევრს გილოცავთ სასწავლო წლის
დასრულებას. არდადეგები ბავშვისთვის პოზი-
ტიური ემოციების ზღვაა. ეს არის მისი გონებ-
რივი და ფიზიკური დასვენების დრო, როდესაც
ძალებს იკრებს ახალი სასწავლო წლისათვის.

პედაგოგებიც და ექიმებიც მიიჩნევენ, რომ
არდადეგების პერიოდი აქტიური დასვენების
დროა და ეს აუცილებლად უნდა გაითვალის-
წინონ მშობლებმა. ექიმები, ასევე აღნიშნავენ,
რომ გადარდა მრავალი ქრონიკული დაავა-
დებისა და ფსიქიკური პრობლემების გაჩენის
სერიოზული მიზეზი შეიძლება გახდეს.

ბავშვისთვის დასვენების ყველაზე ოპტიმალუ-
რი ფორმა ბუნებასთან სიახლოვეა, ქალაქის
ხმაურისგან შორს ყოფნა, კარგი შთაბეჭდილე-
ბები და დადებითი ემოციების მუხტი, აქტიური
დასვენება, რომელიც კარგად არის დაგეგმილი
მშობლების მიერ. მნიშვნელოვანია, დასვენების
ადგილებად მოაზრებოდეს მთაც, მდინარეც,
ტყეც, ზღვაც; ასევე, ეწყობოდეს ბევრი პიკნიკი
და თამაშები.

ადრე ადგომას მიჩვეული ბავშვები კარგად
ახერხებენ დილის აქტივობებს, ვისაც ძილი
უყვარს კი, ჩვეულებრივ, საღამოს აქტიურდება
და ესეც გასათვალისწინებელია.

დასვენების პერიოდში, ოჯახთან გატარებული
დღეებით, ბავშვი ბევრ გამოცდილებას იძენს,
რაც საუკეთესო ემოციების სახით მიეცება მას
მთელი ცხოვრების განმავლობაში. ყველა
კვლევის შედეგის მიხედვით, ბავშვები, რომ-
ლებიც აქტიურად ერთვებიან სპორტში და
დიდ დროს ატარებენ ღია ცის ქვეშ, მაღალი
აკადემიური მოსწრებით ხასიათდებიან. მათ
უნდა ჰქონდეთ თავისუფალი დრო, რომელსაც
თავიანთი ინტერესებისა და შეხედულებების
მიხედვით დაგეგმავენ. თუ მშობელი ამ დროს
წაართმევს და, სასწავლო წლის დასაწყისშივე,
მხოლოდ სახელმძღვანელოსკენ უბიძგებს მას,
ბავშვს ძალა მალე გამოეცლება და შესაბამისად,
სწავლის ხარისხიც დაბალი იქნება.

თუმცა გვხვდებიან ისეთი მოზარდებიც, რომელ-
ბიც თავად, დამოუკიდებლად იჩენენ ინტერესს
სასწავლო პროცესის მიმართ. ასეთ დროს
აუცილებელია მხარდაჭერა და სირთულეებთან
გამკლავებაში დახმარება. არავითარ შემთხვე-
ვაში არ შეიძლება დავგმოთ, წიგნები გადავუშა-



ლოთ ან მოტყუებით ვცადოთ ბავშვის პიკნიკზე
ან მდინარეზე წაყვანა. გასათვალისწინებელია,
რომ იმაზე მეტს, ვიდრე შეუძლია, ბავშვი არ/ვერ
გააკეთებს.

ცნობილია, რომ არდადეგების პერიოდში
ბავშვი არსებული ცოდნის 30-40%-ს კარგავს
და ივიწყებს შესწავლილ მასალას. მასწავ-
ლებელს სამკვირიანი ძალისხმევა სჭირდება,
რომ ბავშვმა დაკარგული ცოდნა აღიდგინოს.
თუმცა ეს დროც ყველასთვის საკმარისი არ
არის. არსებობს საგნები, რომლებიც მუდმივ
მუშაობას მოითხოვს. ასეთია, მაგალითად,
უცხო ენები.

სპეციალისტების გარკვეული ნაწილის მო-
საზრებით, არ არის სასურველი, საზაფხულო
არდადეგების სამივე თვე მხოლოდ დასვენებას
დავუთმოთ, რადგან ბავშვებს შეუძლიათ შექმ-
ნან სტაბილური ასოციაცია: „სწავლა ცუდია,
დასვენება კარგია“. ექსპერტები თვლიან, რომ
უნდა ვიპოვოთ აქტიური დასვენების პერიოდის
ოპტიმალურად გამოყენების ბალანსი და შევქმ-
ნათ სპეციალური სავარჯიშო რეჟიმი, რომელიც
არ მოახდენს ზეწოლას ბავშვზე და დიდ დროს
არ წაართმევს მას.

ბავშვმა უნდა იცოდეს, რა უნდა გააკეთოს დღეს
და რა დრო უნდა დაუთმოს ამა თუ იმ აქტივო-
ბას. თუ საკმარის ყურადღებას არ მივაქცევთ
დაგეგმვას, შეიძლება აღმოვჩნდეთ ისეთ
სიტუაციაში, როდესაც ბავშვი უბრალოდ აღარ
მოისურვებს სამეცადინოდ დაჯდომას.

საზაფხულო თვითწავლის გასაძლიერებლად,
სასურველია, ყოველდღიურად 15 წუთი გამოვ-
ყოთ ინგლისურისათვის, რაც ენის არდავიწ-
ყებაში დაეხმარება ბავშვს; ზოგ შემთხვევაში,
ისეთი თემებიც შეიძლება წამოვწიოთ წინ,
რომლებიც მან წლის განმავლობაში გამოტოვას.

დასვენების პერიოდში მშობლებმა მეტი დრო
უნდა გაატარონ შვილებთან, დავინტერესდეთ
მათი მიღწევებით და უმნიშვნელო წარმატებ-
ებითაც კი; საინტერესო და სასარგებლო შეგუ-
თავსოთ ერთმანეთს და ერთად ვისწავლოთ.

მე კი, კიდევ ერთხელ, განსაკუთრებული მად-
ლობა მინდა გადავუხადო ჟურნალის სარედაქ-
ციო კოლეგიის წევრებსა და სტატიების ავტო-
რებს, საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე
მუშაობისათვის.

მასწავლებელი

3

დასან ხალილი
ბავშვის უფლებათა დეკლარაციების შექმნის შესახებ

მასწავლებელი

13

ზვიად გოგუაძე
ბავშვის უფლებების დაცვის ვალდებულება ავტორიზაციის პროცესში

მასწავლებელი

18

მაკა ბიბილეიშვილი
მოსწავლეთა თვითმმართველობა – მონაწილეობის უფლების
სასკოლო გარემოში რეალიზების შესაძლებლობა

მშობელი

24

მაია ბაგრატიონ-გრუზინსკი
სტრატეგიული საკითხები, რომლებიც ინკლუზიური განათლების
წინაპირობას ქმნის

მშობელი

36

ნინო გახარია
მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის გამოცდილება

მშობელი

42

ქეთევან ბერძენიშვილი
მშობელთა თანასწორუფლებიანობის შესახებ

მასწავლებელი

46

ინა იმედაშვილი
ვის აქვს უფლებები? ყველას!

ბავშვის უფლებათა დეკლარაციის

შეძენის შესახებ



ლასან ხალილი

გაეროს ბავშვთა ფონდის
წარმომადგენელი

საერთაშორისო ბავშვის „გადავარჩინოთ ბავშვები“
ბავშვის უფლებების დეკლარაცია
(1923)

ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, პირველი მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეული ტრაგედიების მიმართ ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები ბავშვები და ქალები აღმოჩნდნენ. იმის გამო, რომ ბავშვებს არ ძალუძთ დამოუკიდებლად განკარგონ თავიანთი საქმეები და გაიუმჯობესონ საკუთარი პირობები, ყოველთვის სჭირდებათ ადვოკატები, რომლებიც დაიცავენ მათ უფლებებს.

1923 წელს ეგლანტაინ ჯებმა (Eglantyne Jebb) (1876-1928), რომელმაც თავის დასთან, დოროთი ბაქსტონთან ერთად დააარსა ფონდი „გადავარჩინოთ ბავშვები“, განაცხადა: „როგორც ჩანს დადგა მომენტი, როდესაც ჩვენ ვეღარ ვიქნებით მხოლოდ მასშტაბური ჰუმანიტარული დახმარებების იმედზე. თუმცა, თუ ჩვენ გვსურს გავაგრძელოთ მუშაობა ბავშვებისათვის და ვიზრუნოთ მათზე... ერთადერთ გზად, ამ კუთხით, გვესახება სხვადასხვა ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევა – საფუძვლიანად დაიცვან თავიანთი ბავშვები. დაცვა არ უნდა დაეფუძნოს მხოლოდ საქველმოქმედო ქმედებების ხარჯებს. მე ვთვლი, რომ ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ბავშვის კონკრეტული უფლებების დაცვა და ვიშრომოთ იმისათვის, რომ ისინი აღიაროს ფართო საზოგადოებამ“.

ჯებმა საკუთარი თავი პაციფისტად გამოაცხადა. ბრიტანული საზოგადოების წარმომადგენლებს არ მოეწონათ მისი ასეთი დამოკიდებულება და ისინი უკმაყოფილონი დარჩნენ ჯების მიერ პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანული ბავშვებისთვის გაწეული დახმარების გამო.

დაროდესაც ცნობილ ირლანდიელ დრამატურგს ჯორჯ ბერნარდ შოუს (რომელიც ჯების ერთ-ერთი მხარდამჭერი იყო) ჰკითხეს მის მიერ მტრის ბავშვებისათვის გაწეული ფინანსური დახმარების თაობაზე, მან უპასუხა, რომ არასდროს ჰყოლია მტერი, რომლის ასაკი რვა წელს არ აღემატებოდა. 1919 წლის (წელი, როდესაც დაარსდა ფონდი „გადავარჩინოთ ბავშვები“) 19 მაისს ჩატარებულ ღია შეხვედრაზე, ჯებმა და მისმა დამ მიმართეს ფართო საზოგადოებას, რომელსაც უკვე მომარაგებული ჰქონდა დამპალი ვაშლები, რათა თავში ესროლათ იმ „მოლაღატეებისთვის, რომლებსაც უნდოდათ ფულის შეგროვება მტრის ბავშვებისთვის“. ჯების პარტნიორი ამბობს, რომ საზოგადოებამ მას ამით შეურაცხყოფა კი არ მიაცენა, არამედ პირიქით, თვითონ გახდა იძულებული მოესმინა მისთვის. ჯებმა, მისთვის დამახასიათებელი დამაჯერებლობით ყველა დაარწმუნა საკუთარ სიმართლეში.

აქედან გამომდინარე, ეგლანტაინ ჯები, რომელიც ბალკანეთის ომის დროს „მაკედონიის დახმარების ფონდში“ მუშაობდა და საკუთარი თვალთ ნახა

თუ როგორ იტანჯებოდნენ ბავშვები ამ ომის დროს, იყო პირველი, ვინც მოითხოვა ბავშვის უფლებების საყოველთაო აღიარება. ეს გახდა „ბავშვთა გადარჩენის საერთაშორისო კავშირის“ მიერ 1923 წელს მიღებული დეკლარაციის მიზანიც. თავად „კავშირი“ ჯერ დააარსა 1920 წელს, ფრანგული სახელწოდებით „Union International de Secours aux Enfants“. 1923 წლიდან აღნიშნული დეკლარაცია „ბავშვთა გადარჩენის საერთაშორისო კავშირის“ წესდებად იქცა.

დეკლარაცია ხუთი პუნქტისგან შედგება, რომლებიც პირველ რიგში ეხება ბავშვთა დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ „ბავშვს უნდა მიეცეს ყველა ის საშუალება, რომელიც აუცილებელია მისი პიროვნული განვითარებისთვის როგორც მატერიალური, ასევე სულიერი თვალსაზრისით“. ტექსტში არ იყო დაკონკრეტებული თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ უფლებების უზრუნველყოფაზე – სახელმწიფო, ოჯახი თუ ორივე ერთად. მაგრამ დეკლარაციის აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ მან წინა პლანზე წამოსწია ბავშვის სულიერი ზრდა/განვითარების მნიშვნელობა მის ფიზიკურ ზრდა/განვითარებასთან ერთად.

მეორე პუნქტში ნათქვამია, რომ „მშვიერი ბავშვი უნდა უზრუნველყოფილ იქნეს საკვებით; ავადმყოფ ბავშვს უნდა გაეწიოს დახმარება; გზააბნეულ ბავშვს უნდა მიეცეს სწორ გზაზე შემობრუნების საშუალება; ობოლი და უსახლკარო ბავშვები დაცული უნდა იყვნენ და მათ უნდა გავუწიოთ დახმარება“. ეს „პუნქტი განასახიერებს სოციალური სამსახურის ადრინდელ ტრადიციულ კონცეფციას, რომელიც დაფუძნებულია ე.წ. „დახმარების“ პრინციპზე. ის გავრცელდა მეოცე საუკუნის დასაწყისში. აღნიშნული კონცეფცია მოგვიანებით გადაიზარდა ე.წ. „მდგრადი განვითარების“ თეორიაში, რომელიც დაეფუძნა „უფლების“ კონცეფციას, ნაცვლად ე.წ. „დაუკმაყოფილებელი საჭიროებების“ თეორიული კონცეფციისა.

რაც შეეხება მესამე პუნქტს, მასში ნათქვამია, რომ „ბავშვი უნდა იყოს პირველი, ვინც უნდა მიიღოს დახმარება უბედურების დროს“. აღნიშნული შთაგონებული იყო მტკივნეული გამოცდილებითა და ომებით გამოწვეული ტრაგედიებით, რომლებმაც ცხადყო, რომ ომის დროს ბავშვები ყველაზე დაუცველები არიან.



1919 წელს, კავშირმა „გადავარჩინოთ ბავშვები“ (გაერთიანებული საშემო) თავის დოკუმენტებში დააფიქსირა, რომ ავსტრიელ ბავშვებს თვეების განმავლობაში არაფერი ჰქონდათ ნაჭამი თაღამისა და სტაფილოს გარდა. არასაკმარისი კვების გამო, ექვსი წლის ბავშვები ახლადფეხადგმულ ბავშვებს ჰგავდნენ. ზოგიერთი კი უბრალოდ ქუჩაში იღუპებოდა. ტანსაცმელი იმდენად დეფიციტური იყო, რომ მშობლები გაყინულ ბავშვებს ქალაქში ახვევდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, დახმარების გაწევისას, უპირატესობა ბავშვებს ენიჭებოდათ. ეს ბავშვის უფლებათა დაცვის მოძრაობაში ხარისხობრივი პროგრესია თუ გავითვალისწინებთ, რომ უახლოეს წარსულში დახმარებას, პირველ რიგში, ზრდასრულებს უწევდნენ ხოლმე. ბავშვებზე ყურადღება კი მოგვიანებით გადაიტანეს.

მეოთხე პუნქტში ნათქვამია, რომ „ბავშვს უნდა ჰქონდეს საშუალება, თავისი შრომით გამოიმუშაოს სარჩო და, ამავე დროს, ის უნდა იყოს დაცული ექსპლუატაციის ყველა ფორმისგან“.

აღნიშნული პუნქტი გახდა კრიტიკის საგანი, ვინაიდან მასში არ იყო დაკონკრეტებული, თუ ვინ არის კონკრეტულად პასუხისმგებელი ბავშვის უფლებათა უზრუნველყოფაზე – სახელმწიფო თუ მშობელი. უფრო მეტიც, ის არ განმარტავდა, თუ რას ნიშნავს ექსპლუატაცია.

ბოლო მეხუთე პუნქტში ნათქვამია: „ბავშვი უნდა აღიზარდოს იმ შეგნებით, რომ მისი საუკეთესო თვისებები და ნიჭი უნდა ემსახურებოდეს მის ახლობელ ადამიანებს“ („...თავისი საუკეთესო თვისებები სხვა ადამიანების სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს“).

ეს ყველაფერი იყო პირველი მსოფლიო ომის უბედურებებისა და ტრაგედიების გააზრების, და ასევე, ენთუზიაზმით აღსავსე მისწრაფებებით მშვიდობის აღდგენის სურვილის შედეგი.

ეგლანტაინ ჯები Eglantyne Jebb (დეკლარაციის ავტორი) თვლიდა, რომ დაძაბულ და მძიმე პერი-

ოდებში ყველაზე მეტად უჭირთ ბავშვებს და ჩვენ უნდა მივცეთ მათ ყველა საშუალება, რათა შეძლონ საკუთარი თავის გადარჩენა.

ჯები იბრძოდა ამისათვის და ერთხელ, როცა ავრცელებდა თავის ბროშურას ბლოკადის შეწყვეტის მოწოდებით, დააპატიმრეს და დააჯარიმეს, ცენტრის თანხმობის გარეშე ბროშურის პუბლიკაციისთვის. ჯები ვერ შეაშინეს, მეტიც, მან პროკურორიც დაარწმუნა, რომ მასაც შეეძენა საკუთარი წვლილი ამ საქმეში.

ჯების აზრით, „ზრდასრულებს შეუძლიათ, მოერგონ სიტუაციას გარკვეული ხნით და მოგვიანებით აღიდგინონ ძალები; ბავშვები კი წყვეტენ განვითარებას და საეჭვოა, რომ მათ ოდესმე შეძლონ დაკარგული ძალების აღდგენა“. მეტიც, ის დარწმუნებული იყო, რომ ბავშვები, რომლებსაც არავითარი ბრალი არ მიუძღოდათ ომში, სხვა ომის თავიდან აცილების ყველაზე დიდი იმედი იყვნენ: „ბავშვებს ყოველი თაობა კაცობრიობის მიერ დანგრეული მსოფლიოს აღდგენის შესაძლებლობას სთავაზობს“.

ჯები, ასევე, აღნიშნავდა, რომ სწორედ ბავშვები იხდიან ყველაზე დიდ საფასურს ჩვენი არაშორსმჭვრეტელი ეკონომიკური პოლიტიკის, ჩვენი უხეში შეცდომებისა და ჩვენ მიერ გაჩაღებული ომების გამო. მას მიაჩნდა, რომ ბავშვები ხშირად პოლიტიკის მსხვერპლნი არიან და თვლიდა, რომ ბავშვის უფლებების დაცვა მხოლოდ პოლიტიკური ცვლილებების მეშვეობით არის შესაძლებელი.

1923 წელს კავშირის „გადავარჩინოთ ბავშვები“ დამფუძნებელმა, ეგლანტაინ ჯებმა, საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოს ისტორიაში ბავშვის უფლებების პირველ ქარტიას, რომელიც ქადაგებდა პრინციპს, რომ ბავშვებს აქვთ ხარისხიანი ცხოვრების უფლება და რომ მთავრობები, ოჯახები, სხვა ზრდასრული ადამიანები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ბავშვის ეს უფლება. ამდენად, ქველმოქმედების ობიექტის ნაცვლად, ბავშვი წარმოჩინდა იმ უფლებების მატარებელ სუბიექტად, რომელთა აღსრულების ვალდებულებაც უფროსებს აკისრიათ.

პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწონებული ბავშვთა დაცვის საერთაშორისო წესების დადგენის პირველი მცდელობა განხორციელდა ჟენევის დეკლარაციით, რომელიც ერთა ლიგამ¹ მიიღო 1924 წლის 26 სექტემბერს. აღნიშნული დეკლარაცია ითვლება მსოფლიოში პირველ საერთაშორისო დოკუმენტად ბავშვის უფლებების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგის პაქტი² არ შეიცავდა ბავშვის დაცვასთან დაკავშირებულ რაიმე ტექსტს, 1924 წლის დეკლარაცია განიხილება, როგორც ლიგის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა ბავშვების დაცვის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ მისი შესრულება სავალდებულო არ იყო სახელმწიფოებისთვის, ის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ბავშვის უფლებების პირველი საერთაშორისო დეკლარაცია. ფაქტობრივად, დეკლარაცია ეხებოდა ბავშვთა დაცვას (განსაკუთრებით ბავშვებისა და ქალების) პირველი მსოფლიო ომის შედეგად მიყენებულ ტრაგედიებისა და განსაცდელებისაგან.

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, დეკლარაცია, რომელიც შეადგინა საერთაშორისო კავშირმა „გადავარჩინოთ ბავშვები“, ერთა ლიგამ 1924 წელს ცვლილებების გარეშე მიიღო. 1934 წელს ერთა ლიგამ დეკლარაცია ხელმოკრეფა დაამტკიცა.

აღსანიშნავია, რომ ერთა ლიგამ, მის მიერ კანონების შედგენის პროცესის ფარგლებში, ასევე, მიიღო მრავალი რეზოლუცია და ინსტრუმენტი ექსპლუატაციის, მონათმფლობელობისა და მონათვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. მათ შორის ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის წინააღმდეგ.

გარდა ამისა, ერთა ლიგამ ჩამოაყალიბა „ბავშვთა კეთილდღეობის კომიტეტი“, რითაც დაადასტურა (თუმცა „უფლებათა“ ცნების გარეშე, რადგან კომიტეტი ეხებოდა ბავშვთა კეთილდღეობას და

არა ბავშვის უფლებებს), რომ სახელმწიფოები აღარ არიან ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიმღებები ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მაშინ, როდესაც ეს ხუთპუნქტიანი დეკლარაცია მიიღეს, ის განიხილებოდა არა როგორც სახელმწიფოების გაერთიანებული ძალისხმევის შედეგად მიღებული დოკუმენტი, არამედ – როგორც დოკუმენტი, რომელიც ფორმულირებული და გამოცემულია ცალკეული პიროვნებების, ქალებისა და ბავშვების მიმართ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ამიტომ, ერთა ლიგის წევრი სახელმწიფოები არ იყვნენ ვალდებული, ეკისრათ მოვალეობები ან აეღოთ პასუხისმგებლობა, რომელიც გამომდინარეობს აღნიშნული დეკლარაციიდან და, შესაბამისად, ამ ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრათ ცალკეულ ინდივიდებსა და სამოქალაქო საზოგადოებებს.

თუმცა, ჟენევის დეკლარაცია არ განიხილება საერთაშორისო სამართლის ნაწილად. მის პრინციპებს არ აქვს სავალდებულო ძალა და ეთიკური და მორალური ვალდებულებების ფარგლებში რჩება. ისინი თავდაპირველად ფორმულირებული იყო რეკომენდაციების სახით და არა კანონის მუხლების ფორმით. მათი შესრულება მინდობილი იყო ინდივიდთა და საზოგადოებათა სინდისზე და არა სახელმწიფოებსა და მთავრობებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჟენევის დეკლარაცია არ შედიოდა საერთაშორისო სამართლის სფეროში, ის კვლავ ითვლება საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადადგმულ პირველ საერთაშორისო ნაბიჯად ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში. ამასთან ერთად, აღნიშნულმა დეკლარაციამ, ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ, განაპირობა გაეროს ბავშვის უფლებათა დეკლარაციის შექმნა. მეტიც, ერთა ლიგის გენერალური ასამბლეის მიერ დეკლარაციის მიღებით, ამ დოკუმენტმა მორალური ავტორიტეტი და პოლიტიკური განზომილება შეიძინა, რამაც გარკვეულწილად, დაავალდებულა წევრი სახელმწიფოები, გაეთვა-

ლისწინებინათ დეკლარაციის შინაარსი. თუმცა, ეს ვალდებულება ეფუძნებოდა არა მათ რწმენას, რომ ბავშვის უფლებები ჩვეულებრივ ჰუმანიტარულ საჭიროებას წარმოადგენდა, არამედ ნაკარნახევი იყო ერთა ლიგის წევრობის პატივისცემით.

აღსანიშნავია, რომ პირველი მსოფლიო ომის დამანგრეველმა შედეგებმა ღრმად დააფიქრა ადამიანები და გამოააშკარავა, რომ ბავშვები არიან უდანაშაულონი და უძლური ძალადობის წინაშე.

აღნიშნულმა გარემოებამ აიძულა სახელმწიფოები, მოეხდინათ კონცენტრირება ბავშვებზე და მეტი ყურადღება დაეთმოთ მათთვის, რათა ჩამოყალიბდნენ ისეთი ახალი საზოგადოებები, რომლებიც უბედურებად მიიჩნევენ ომებს და მიისწრაფვიან მშვიდობისაკენ. სწორედ ეს არის ერთა ლიგის დაარსების ძირითადი არსი და მიზანი.

ჟენევის დეკლარაციის პრეამბულაში ხაზგასმულია პრინციპი, რომ კაცობრიობა ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვების დაცვა, მიუხედავად მათი რასობრივი და სამოქალაქო კუთვნილებისა და რელიგიური განსხვავებებისა.

ბავშვის უფლებების საერთაშორისო პრინციპების შემუშავების პროცესში უდიდესი მნიშვნელობის ნაბიჯი იყო დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება. ბავშვის უფლება ჯანსაღ ფიზიკურ ზრდაზე და სათანადო საცხოვრებელ პირობებზე, დეკლარაციამდე არასდროს ყოფილა რომელიმე საერთაშორისო ინსტრუმენტის ნაწილი. აღნიშნულის მიღწევა მხოლოდ 1924 წელს შეძლეს. დეკლარაციის მეორე პუნქტში დაფიქსირდა, რომ თითოეულ მშვიდ ბავშვს, რომელსაც ზრდის პრობლემები აქვს, გააჩნია დახმარების მიღების უფლება; თითოეულ ბავშვს, რომელსაც ხელი არ მიუწვდება განათლებაზე, აქვს სკოლაში სწავლის უფლება; თითოეულ ობოლს უფლება აქვს იცხოვროს ბავშვთა სახლში და უნდა ჰქონდეს გადარჩენისთვის აუცილებელი ყველა პირობა. მეოთხე პუნქტი ხაზს უსვამს ბავშვების შრომისა და ექსპლუატაციისგან დაცვის აუცილებლობას.

ჟენევის დეკლარაციის ყველა დებულება ატარებს და უფრო მორალურ და არა იურიდიულად სავალდებულო ხასიათს. მაგრამ მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველად წარმოადგინა პრინციპები, რომლებიც მანამდე არცერთ საერთაშორისო დოკუმენტში არ იყო ნახსენები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირს არ მიუღია მონაწილეობა ამ დეკლარაციის შემუშავებაში. როდესაც 1924 წელს ჟენევის დეკლარაცია მიიღეს, საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არ იყო ერთა ლიგის წევრი.

იმ დროს ბავშვის უფლებებით დაინტერესებული ადამიანების დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ ბავშვების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, მაგალითად, ექსპლუატაციის აკრძალვა ან სავალდებულო განათლების უზრუნველყოფა, მხოლოდ საბჭოთა კავშირის მსგავს სახელმწიფოში შეიძლებოდა გამოყენებულიყო და შენარჩუნებუ-



ლიყო. ისინი გამოირიცხავდნენ ამგვარი უფლებების უზრუნველყოფას კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც სისტემა ემყარება ადამიანთა ურთიერთქმედებას და უპირატესობას ანიჭებს ინდივიდის ეკონომიკურ ინტერესებს, საზოგადოების კოლექტიური ინტერესების ხარჯზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჟენევის დეკლარაცია ეხებოდა ბავშვთა დაცვას, ის მოიცავდა დებულებებს, რომლებიც ეხებოდა ბავშვების კულტურულ და ზნეობრივ განვითარებას და ჯანსაღი განვითარებისათვის საჭირო საშუალებებით მათი უზრუნველყოფის აუცილებლობას.

ამასთან, არ არსებობდა დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიზარდოს ბავშვი მორალურად და კულტურულად და ეს გარემოება განიხილება, როგორც დეკლარაციის ნაკლოვანება; შესაბამისად, ის კრიტიკის საგნად იქცა, მაგრამ ეს ნაკლოვანება მიუთითებდა ერთა ლიგის სისუსტეზე, რომელმაც მიიღო დეკლარაცია იმ დროს და რომელიც მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჩაანაცვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. მეორე მხრივ, 1924 წელს ამ დეკლარაციის მიღებანიშნავდა ხარისხობრივ წინსვლას და პრეცედენტის შექმნას ამ სფეროში. როგორც ყველა პირველი ნაბიჯის შემთხვევაში, შეუძლებელი იყო საკითხის სიღრმისეულად წარმოჩენა, მით უფრო, რომ საქმე ეხებოდა საერთაშორისო და ყოვლისმომცველი წესების შემუშავებას განსხვავებებითა და უთანასწორობით სავსე მსოფლიოში.

მიუხედავად ჟენევის დეკლარაციის ნაკლოვანებებისა, შესაძლებელი იყო, რომ მისთვის მეტი მნიშვნელობა მიანიჭებინათ, თუკი ერთა ლიგა მოგვიანებით მაინც მიიღებდა ბავშვის უფლებების დაცვასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. ამის განხორციელება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შემდეგ გახდა შესაძლებელი. აღნიშნულმა დეკლარაციამ, რომელიც წარმოადგენდა ბავშვთა დაცვისა და ბავშვების გა-

დარჩენის საერთაშორისო წესების შემცველ პირველ დოკუმენტს, ფაქტობრივად, ვერ მოიტანა სარგებელი განხორციელებისა და მაქსიმალური ეფექტის მიღწევის თვალსაზრისით.

მეორე მსოფლიო ომის დროს³ და 1959 წლის ბავშვის უფლებების დეკლარაციის მიღებამდე, ბავშვთა მდგომარეობა გაუარესდა და კოლონიები იქცნენ დარღვევებისა და სხვადასხვა სახის ექსპლუატაციის ადგილებად.

გარდა ამისა, შეუძლებელი იყო ბავშვის უფლებების ყოვლისმომცველი კონცეფციების რეალიზება, როდესაც ადამიანის უფლებების დეკლარირებული დოკუმენტების რაოდენობა კვლავ მზარდი იყო, ხოლო საერთაშორისო საზოგადოება კვლავ არღვევდა ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ ნორმებს მონობისა და იძულებითი შრომის გამოყენებით.

ფაქტობრივად, ბავშვის უფლებები აღიქმებოდა როგორც „პასიური“ უფლებები. ამ უფლებების განმახორციელებელი სუბიექტები იყვნენ მშობლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი ხელისუფლებები და მთავრობები⁴.

ასეთ ვითარებაში, საერთაშორისო საზოგადოებისა და ბავშვის უფლებების დამცველთა ძალისხმევა არ შემოიფარგლა ჟენევის დეკლარაციით. ისინი კვლავ ცდილობდნენ, მიეგნოთ ბავშვთა დაცვის სამართლებრივი საშუალებებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფდა ბავშვების დაცვას მთელ მსოფლიოში, ყოველგვარი დისკრიმინაციის ან რომელიმე ბავშვისთვის უპირატესობის მინიჭების გარეშე. ჟენევის დეკლარაცია წარმოადგენს ბავშვის უფლებების დაცვის საერთაშორისო ნორმების განსაზღვრის პირველ მცდელობას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR) (1948)

დაარსების დღიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ⁵ პირობა დადო, თავის წესდებაზე დაყრ-

დნობით, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1945 წელს სან-ფრანცისკოში⁶, რომ ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონმდებლობის სრულყოფის გზით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მუხლი 1(3) ითვალისწინებს: „განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული პრობლემების გადასაჭრელად. ის ხელს უწყობს ადამიანის ძირითად უფლებათა საყოველთაო პატივისცემას ყველასათვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად“.

აღნიშნულ კონტექსტში ბავშვები გაეროს მთავარი საზრუნავი გახდნენ. ასეთი დაინტერესება ამ საკითხებისადმი გამოიხატა ორგანიზაციის შექმნიდან ერთი წლის შემდეგ, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დაარსებით, რომელიც დღეს საერთაშორისო დონეზე ბავშვის უფლებების მთავარი დამცველია. 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც დღემდე წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან უნივერსალურ ინსტრუმენტს ადამიანის თანდაყოლილი უფლებებისა და ღირებულებების დაცვასთან მიმართებით.

მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, UDHR წარმოდგენილ იქნა კენჭისყრაზე ზეპირად და ხელის აწევით, ხელმოწერისა და რატიფიკაციის გარეშე, რადგან საერთაშორისო სამართლის თანახმად, იგი არ წარმოადგენს იურიდიულ სავალდებულო ინსტრუმენტს.

დეკლარაციები არის ზოგადი პრინციპებისა და განზრახვების განაცხადი. მათ გააჩნია მორალური და არა იურიდიულად სავალდებულო ღირებულება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შემთხვევაში, ის მოგვიანებით განიხილებოდა, როგორც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნაწილი, რის შედეგადაც მიეცა სავალდებულო ხასიათი.

ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი არის კანონი, რომელიც აყალიბებს ზოგად და თანმიმდევრულ პრაქტიკას, რომელსაც საერთაშორისო დონეზე ასრულებენ სახელმწიფოები. დროთა განმავლობაში ამ პრაქტიკამ მიიღო კანონის ძალა და სავალდებულო გახდა ყველა სახელმწიფოსთვის.

დეკლარაციის მუხლი I ადგენს, რომ „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“. აღნიშნული მუხლის ტექსტი მოიცავს ზოგადად ადამიანის პიროვნებას. ამასთან, UDHR-ის ოცდაათ მუხლში შეტანილი უფლებების უმეტესობა არის უფლებები, რომლებიც ადამიანმა შეიძინა დაბადებისთანავე და ბავშვობის განმავლობაში. ზოგიერთ უფლებას ისინი დაბადებამდეც კი იძენენ. ამრიგად, ითვლება, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ამ მუხლის მეშვეობით, აქტიურად ეხებოდა ბავშვის უფლებებს, თუმცა არაპირდაპირი გზით.

მუხლი I, ასევე, წარმოადგენს ზოგად ფილოსოფიას, რომელსაც ემყარება დეკლარაცია. იგი შემუშავდა კომიტეტის სხდომებზე მრავალი ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ელეონორა რუზველტი, ხოლო მომხსენებელი იყო ჩარლზ მალეკი. ეჭვგარეშეა, რომ დეკლარაციის ყველა მუხლი პირდაპირ ან ირიბად მჭიდრო კავშირშია ბავშვის უფლებებთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ეხება, როგორცაა სიცოცხლის, ღირსების, თავისუფლების, განვითარების, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და თანასწორობის უფლება. 25-ე მუხლი არის ერთადერთი მუხლი, რომელიც აშკარად და პირდაპირ ეხება ბავშვის დაცვის, მასზე ზრუნვისა და დახმარების უფლებას. მის მეორე პარაგრაფში ნათქვამია, რომ „დედობა და ჩვილი ბავშვის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, იქნება ეს

დაბადებული ქორწინებაში თუ მის გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით“. აღნიშნული პუნქტი ცხადყოფს, რომ დეკლარაცია უზრუნველყოფს ბავშვებისა და დედების დაცვას, მზრუნველობასა და დახმარებას. ის, ასევე, უზრუნველყოფს თანაბარ სოციალურ დაცვას ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ბავშვისა და დედის უფლებების ურთიერთდამოკიდებულება და მათ შორის კავშირი, დეკლარაციის გამოშვებამდე არსებული საერთაშორისო ინსტრუმენტების დომინანტი პრინციპი იყო. ის ცნობილი იყო როგორც ბავშვის არაპირდაპირი დაცვა. უფლებების ამ ორი ჯგუფის განცალკევება (ბავშვის უფლება და დედის უფლება) მოხდა მხოლოდ 1959 წელს, ბავშვის უფლებათა დეკლარაციის მიღების შემდეგ, როდესაც ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტად იქცა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა ბავშვის უფლებების სფეროში, ზოგადი ჰუმანიტარული პრინციპების გარდა, არის უფლებათა თანასწორობის აღიარება ქორწინებაში და მის გარეშე დაბადებულ ბავშვებში.

აღნიშნული თანასწორობის აღიარებამ 1948 წელს მნიშვნელოვანი საერთაშორისო შედეგები და გავლენა იქონია საზოგადოებებზე, რომლებიც კვაზი-ერთგულები იყვნენ ამ ორი კატეგორიის ბავშვთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ თანასწორობამ დიდი ნაბიჯი გადადგა ბავშვის უფლებების დაცვის მოძრაობაშიც. მსოფლიოში აღიარეს, რომ ბავშვები არ არიან პასუხისმგებელნი მშობლების შეცდომებსა და ქმედებებზე. ამიტომ ისინი იმსახურებენ საზოგადოების დაცვას, ზრუნვას და პატივისცემას. მათ უნდა ისარგებლონ თანდაყოლილი უფლებებით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ადამიანის



უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის კვაში-სავალდებულო საერთაშორისო ძალა ფაქტობრივად აღებულია მისი კეთილშობილური პრინციპებიდან, რომელიც მიიღწევს „უნივერსალური პოსტულატებისა და კონსტანტების“ დონეს, რომელსაც ყველა სახელმწიფო, ხალხი და საზოგადოება აღიარებს.

UDHR-ის გავლენა გაძლიერდა იმით, რომ 1948 წელს ის მიიღო როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ბლოკმა⁷. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, მას რომსავალდებულო ხასიათი ჰქონოდა. 1966 წელს გამოიცა ორი დამოუკიდებელი პაქტი: პირველი ეხება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს, ხოლო მეორე – სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებული უფლებები საფუძვლად უდევს გაეროს წესდების ყველა მიზანსა და ამოცანას, რომლის პრეამბულა ადგენს შემდეგს: „ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობისადმი ხელშეწყობა სოციალური პროგრესის, ცხოვრების უკეთესი სტანდარტებისა და უფრო მეტი თავისუფლების პირობებში“. ყველაზე მნიშვნელოვანი არის პრეამბულის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრინციპი, რომელიც ადასტურებს, რომ „ადამიანის ოჯახის

ყველა წევრისათვის თანდაყოლილი ღირსება და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველს“.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღება ფუნდამენტური ნაბიჯი იყო ადამიანის საერთაშორისო უფლებების პროგრესული კოდიფიკაციისკენ. აღნიშნულმა დეკლარაციამ გამოიწვია 100-ზე მეტი ინსტრუმენტის შექმნა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. მოხდა ადამიანის უფლებების საერთაშორისო ლეგიტიმაცია, რამაც შესაძლებლობა მისცა მსოფლიოს, შეექმნა ის მექანიზმები, რომლებიც ყოველდღიურად პოზიტიურად გარდაქმნის ადამიანის უფლებებს.

¹ 1920-1946

² ერთა ლიგის პაქტი მიღებულია 1919 წლის 29 აპრილს

³ 1939-1945

⁴ Yri Kolosov, the CRC Juridical significance and the Committee on the Rights of the Child: Stock taking and new challenges, გვ. 397

⁵ სახელწოდება „გაერთიანებული ერები“ მოიფიქრა პრეზიდენტმა ფრანკლინ დ. რუზველტმა და ის პირველად გამოყენებულ იქნა „გაეროს დეკლარაციაში“ 1942 წლის 1 იანვარს, მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც 26 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დაავალდებულეს თავიანთი მთავრობები, გაეგრძელებინათ ბრძოლა ნაცისტური ბლოკის ქვეყნების წინააღმდეგ.

⁶ წესდება შემუშავდა 50 ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობით გაეროს კონფერენციაზე, რომელიც ტარდებოდა სან-ფრანცისკოში 1945 წლის 25 აპრილიდან 26 ივნისამდე.

⁷ დასავლეთის ბლოკში შედიან კაპიტალისტური ქვეყნები, რომელთა შორის პირველი შეერთებული შტატებია. აღნიშნულმა ბლოკმა პრიორიტეტი მიანიჭა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან შედარებით. აღმოსავლეთის ბლოკში შედიოდნენ სოციალისტური სახელმწიფოები, რომელთა შორის პირველი საბჭოთა კავშირი იყო. აღნიშნულ ბლოკში უფრო პრიორიტეტული იყო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, ვიდრე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.




გაეროს ბავშვის, ტამაშის, ჩემი უფლებები



გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, მაქვს უფლებები

ზრდასრულებმა ჩემი უფლებები უნდა გამაცნონ. არ
აქვს მნიშვნელობა, ვინ ვარ ან საიდან მოვდივარ.
ჩემი ინტერესები დაცული უნდა იყოს; ზრდასრულები
პასუხისმგებელნი არიან მათ დაცვაზე. მე ჩემი უფლებებით
უნდა ვსარგებლობდე. თანაც, საუბრის დროს სხვებმა უნდა
მომისმინონ, პატივი მცენ და დაინტერესდნენ ჩემი აზრით.

(გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 2, 3, 4, 12 & 42).



ბავშვის უფლებების დაცვის პაღდეშულეშა

ავტორიზაციის პროცესში



ზვიად გოგუაძე

ქ. ხაშურის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსი

ავტორიზაცია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმია, რომლის მიზანია დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება, მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და რეკომენდაციების გაცემა დაწესებულებაში იდენფიტიცირებული გამოწვევების გადასაჭრელად.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია, შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის პროცესი ხორციელდება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG 2015) მოთხოვნების მიხედვით.

ნებისმიერი თანმდევი პროცესი, რომელიც თანახმადს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციას, მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის (ბავშვის) საუკეთესო ინტერესებს და ბავშვის უფლებებს, რომლებიც დაცულია საერთაშორისო თუ შიდა კანონმდებლობით და ეს სავალდებულოდ გასათვალისწინებელია ავტორიზაციის პროცესში ჩართული ნებისმიერის უბიექტისთვის

(სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მშობელი, ექსპერტი, საბჭო და ა.შ.).

ბავშვთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა ჯერ კიდევ წინასაუკუნეში დაიწყო და მას დიდი ყურადღება ეთმობა. 1989 წლის 20 ნოემბერს მიღებული კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ ცხადყოფს, რომ ამ საკითხს უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

როდესაც ვსაუბრობთ ბავშვის უფლებებზე და მისი საუკეთესო ინტერესების დაცვაზე, ვგულისხმობთ ავტორიზაციის პირობებით განსაზღვრული ქმედებების განხორციელების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას, მისი ღირსების დაცვას, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებას, ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება (მათი უპირატესი გათვალისწინება) სავალდებულოა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო დაწესებულებების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვ-

ვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას.

ავტორიზაციის პროცესში გარე შემფასებელს, სხვადასხვა მიგნების გამოსაკვეთად, ურთიერთობა აქვს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლთან, რაღა თქმა უნდა, მათ შორის, მოსწავლეებთან და აღნიშნული რეალიზდება ფოკუს ჯგუფით, ინტერვიუს გამოყენებით თუ სხვა ფორმით. მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად, გარე შემფასებელს აუცილებლად მოუწევს კომუნიკაცია მოსწავლეებთან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბავშვის უფლებების პირდაპირი ან/და ირიბი უგულებელყოფა.

ბავშვის უფლებათა კოდექსი განსაზღვრავს ბავშვის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ქმნის ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს. აღნიშნული კოდექსის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, იყოს მოსმენილი ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე; მას უნდა მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც აზრის გამოთქმის სურვილი აქვს, მისთვის სასურველი და შესაძლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით. ბავშვის მოსაზრება უნდა გაითვალისწინონ, მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

დაუშვებელია ზემოხსენებული უფლების ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა გარემოების საფუძველზე შეზღუდვა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ბავშვთან გასაუბრებისა და მისი აზრის მოსმენის პროცესი უნდა იყოს ინფორმაციული, ნებაყოფლობითი, ბავშვისადმი პატივისცემისა და ანგარიშვალდებულების გამოხატვით, მასზე მორგებული, ინკლუზიური, უსაფრთხო.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტებმა, სკოლაში ბავშვთან

კომუნიკაციისას, ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ აკრძალულია ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის მიწოდება. მოქმედი კანონმდებლობა არ აწესებს კონკრეტულ მოცემულობებს თუ რა იგულისხმება ბავშვისთვის საფრთხის შემცველ ინფორმაციად, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ან/და ლახავს მის უფლებებს.

ავტორიზაციის პროცესში ჩართული სუბიექტების საქმიანობა თავისთავად გულისხმობს ბავშვთან დაკავშირებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი, ასევე, პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას.

პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება წარმოადგენს იმ უფლებათა ნაწილს, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, რომელიც პირად ცხოვრებას ადამიანის ერთ-ერთ ხელშეუხებელ უფლებად აღიარებს.

ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ბავშვთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. ბავშვების ღირსება და თავისუფლება დამოკიდებულია მათი მონაცემების დაცვის კონფიდენციალურობაზე, რაც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კონფიდენციალურობა სამი კონტექსტით გამოიყოფა.

■ **ინტერპერსონალური** – როგორ ხდება მონაცემების შექმნა, დამუშავება, მათზე წვდომა და გამრავლება.

■ **ინსტიტუციური** – ბავშვების მონაცემები მუშავდება დაბადებისთანავე და სახელმწიფო უწყებებში გროვდება.

■ **კომერციული** – როგორ ხდება ბიზნესში, სადაც დიდი რაოდენობით მონაცემებს აგროვებენ, პერსონალური მონაცემების გამოყენება.

პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენ-

ტიფიცირებადია, თუკი შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციონომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით, ხოლო მონაცემთა დამუშავება არის ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას, უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი

ციხოვნეობის ხელშეუხებლობის დაცვა, ცალკე არ გამოყოფს არასრულწლოვანთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებას, მაგრამ საერთო წესით განსაზღვრავს მონაცემების დამუშავების დასაშვებობას. შესაბამისად, ბავშვის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ:

- ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;
- ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;
- ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი



ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

- ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;
- ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, დამმუშავებელი/უფლებამოსილი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის ვინაობის შესახებ, ასევე, მონაცემთა დამუშავების მიზანი, მოითხოვონ მონაცემთა გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება. ეს უფლებები აქვთ როგორც ზრდასრულ ადამიანებს, ასევე ბავშვებსაც. ზემოხსენებული კანონი ბავშვებზე ვრცელდება იმის გამო, რომ ისინიც ჩვეულებრივი მოქალაქეები და, მონაცემების დამუშავების დროს, მონაცემთა სუბიექტები არიან.

არ გვაქვს პრეტენზია, რომ ერთი სტატიით შევძლებთ ბავშვის უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული საკითხების სრულად ამოწურვას, მაგრამ

ჩვენ მიერ დასახელებული უფლებების დაცვა ის მინიმალური მოთხოვნაა, რაც სავალდებულოდ გასათვალისწინებელია.

ბოლოს, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ, ბავშვის უფლებების დაცვის ვალდებულება არნიშნავს, მასწავლებლის ან სხვა პირის უფლებების ხელყოფის ხარჯზე, ბავშვის უფლებებისთვის არაგონივრული უპირატესობის მინიჭებას.

ზოგჯერ მოგვისმენია, რომ მასწავლებელს მოსწავლესთან მიმართებაში უფლებები არ გააჩნია. ვფიქრობთ, მასწავლებლისა და მოსწავლის უფლებების ერთ სიბრტყეზე განხილვა არაგონივრულია, რადგან მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა სწავლა-სწავლების პროცესში დაკავშირებულია აღმზრდელობით ურთიერთობებთან. რა თქმა უნდა, მასწავლებელს აქვს უფლებები, რომელთა წინაშე ანგარიშვალდებულება გააჩნია არა მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს, არამედ სკოლის დირექციას. შესაბამისად, მასწავლებლის წინაშე მდგარი ნებისმიერი გამოწვევა, რომელიც მისი უფლებების დარღვევასთანაა დაკავშირებული, სკოლის დირექციის ინტერვენციას მოითხოვს და არა მოსწავლისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი;
2. ბავშვის უფლებათა ევროპული კონვენცია;
3. ბავშვის უფლებათა კოდექსი;
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი;
5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
6. www.eqe.ge

ჩემი უფლებაა,

ბავშვი



თავი ვიგრძნო დაცულად



მე მაქვს სიცოცხლისა და ბედნიერი
ბავშვობის უფლება

ჩემი უფლებაა, თავი ვიგრძნო დაცულად და
უსაფრთხოდ. ზრდასრულებმა უნდა დამიცვან
ძალადობის, შეურაცხყოფის, უგულებელყოფისა
და ცუდი მოპყრობისგან. აუცილებელია, რომ
საზოგადოება ჩემდამი პატივისცემით იყოს
განწყობილი და დამეხმაროს განვითარებაში.

(გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 6, 19 & 37).





ბაბა შიკლიშვილი

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა
ფორუმის აღმსარებელი დირექტორი

მოსწავლეთა თვითმმართველობა

**– მონაწილეობის უფლების სასკოლო
გარემოში რეალიზების შესაძლებლობა**

გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბერს ერთხმად დაუჭირა მხარი „ბავშვის უფლებათა კონვენციას“. დოკუმენტი აწესებს საერთო სტანდარტებს მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის და ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ამ კონვენციის ეროვნულ დონეზე რეალურად განხორციელებისათვის. ეს პრინციპები 4 კატეგორიადაა გაერთიანებული:

- **სიცოცხლე** – ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და გადარჩენის უფლება; სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება...
- **განვითარება** – ბავშვებს აქვთ განათლების, ინდივიდუალური განვითარების, გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის უფლება...
- **დაცვა** – ბავშვებს აქვთ უფლება, დაცულნი იყვნენ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციისაგან, ომისა და გაჭირვებისაგან...
- **მონაწილეობა** – ბავშვებს აქვთ უფლება, გააჩნდეთ საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატონ

თავიანთი შეხედულებები, მიიღონ სასურველი ინფორმაცია...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონვენციის გათვალისწინება აუცილებელია მოხდეს ეროვნულ დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნებმა უნდა მიიღონ შესაბამისი კანონები და გაატარონ ქმედითი ღონიძირებები, რათა რეალიზებულ იქნეს კონვენციით გათვალისწინებული მუხლები.

2005 წლიდან საქართველოს სკოლებში იქმნება სტრუქტურული რგოლი **მოსწავლეთა თვითმმართველობა**, რომელიც სასკოლო გარემოში **მონაწილეობის უფლების** რეალიზების საშუალებაა.

კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 48.
მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები:

მოსწავლეთა თვითმმართველობა:

- ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;
- ბ) უფლებამოსილია, სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით;

- ბ) ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში;
- დ) სკოლის წესდებით დადგენილი წესით დასაქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში;
- ე) წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს.

ამგვარად, მოსწავლეთა თვითმმართველობა არის სკოლის დემოკრატიული მმართველობის სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი სუბიექტი. ის წარმომადგენს მოსწავლეთა ხმას სკოლის მმართველობით რგოლში. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ საქმიანობაში, კერძოდ, სკოლაში არსებული პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებასა და გადაჭრაში, სკოლის მოსწავლეთა მხარდაჭერა აქტივობებში, რაც თავისთავად ამდიდრებს მოსწავლეთა სოციალურ გამოცდილებას, აყალიბებს მათ მოქალაქეობრივ მრწამსს, დემოკრატიულ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს.

აღასანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ბავშვის უფლებების კონვენციის მიღებამდე, გასული საუკუნის დასაწყისში დიმიტრი უზნაძე წერდა სკოლის მართვის პროცესებში მოსწავლეთა ჩართულობის შესახებ – „სკოლა პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი, დაე მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს, მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთოს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს“.

მიუხედავად კანონით მინიჭებული უფლებისა და მომავალი თაობის ფორმირების პროცესში მონაწილეობის უფლების მნიშვნელობისა, სამწუხაროდ, სკოლების ძალიან დიდ ნაწილში თვითმმართველობის საქმიანობა მხოლოდ ფურცელზეა გაწერილი. ამის მიზეზი სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა შეიძლება იყოს. მაგალითად, მოსწავლეების დაბალი მობილურობა,

ფუნქციების არასათანადო გააზრება, სამეურვეო საბჭოსა და დირექტორის მხრიდან მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირების უგულებელყოფა, გრანტებისა და დაფინანსებების ნაკლებობა და სხვა.

წლების განმავლობაში მრავალი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, სხვადასხვა პროგრამისა თუ პროექტის ფარგლებში, ცდილობს ხელი შეუწყოს სკოლებში მონაწილეობის უფლების რეალიზებას მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერების გზით.

სტატიაში გაგიზიარებთ ინფორმაციას USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის შესახებ, რომელიც ხორციელდება ორგანიზაცია PH international-ის მიერ, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.

პროგრამის მიზანი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდაა. პროგრამა ითვალისწინებს ტექნოლოგიების დანერგვას სამოქალაქო განათლების სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობას, ბიზნესისა და სკოლების დაკავშირებას.

პროგრამაში მონაწილეობისთვის შეირჩა 650 სკოლა. სკოლების სია დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა ხუთი (2022-2027) წლის განმავლობაში გაუწევს დახმარებას პარტნიორ სკოლებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის:

- სკოლის დირექტორებთან მუშაობა სკოლაში დემოკრატიული კულტურის დანერგვის მიზნით, სკოლის მართვის ფორუმები, დირექტორებს შორის გამოცდილების გაზიარება, ლიდერი სკოლების გამოკვეთა და დაჯილდოება;
- სკოლის დირექტორების მხარდაჭერა მონაწილეობაზე ორიენტირებული დემოკრატიული სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად;

- მოსწავლეთა თვითმმართველობების ქსელის შექმნა და მხარდაჭერა;

სწორედ ამ მიმართულებებით განხორციელებული აქტივობები მოგვცემს მონაწილეობის უფლების ეფექტიანი რეალიზების შესაძლებლობას. აღნიშნულ მიმართულებებზე, პროგრამის ფარგლებში, „სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი“, „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ და რეგიონული პარტნიორი ორგანიზაციები იმუშავებენ.

რესურსები:

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ მონაწილეობის უფლება, პასუხისმგებლობა და ვალდებულებები სასკოლო საზოგადოებაში, პროგრამის ფარგლებში, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა

ფორუმმა მოამზადა გზამკვლევი „მოსწავლეთა თვითმმართველობასკოლის დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის“. რესურსი მოიცავს მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და შედგება სამი ნაწილისგან:

- პირველ ნაწილში გაეცნობით მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებისთვის განკუთვნილ ინფორმაციას თვითმმართველობების როლისა და საქმიანობის შესახებ;
- მეორე ნაწილის სკოლის ადმინისტრაციის წევრებს დაეხმარება მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის მხარდაჭერაში;
- მესამე ნაწილი მიზნად ისახავს მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერებას საგანმანათლებლო რესურსცენტრების პერსპექტივიდან.

მოცემული რესურსი საშუალებას მისცემს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებს, ზუსტად განსაზღვრონ თავიანთი როლი და ადგილი სკოლის სტრუქტურაში; დაეხმარება მათ, აქტიურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში, მონაწილეობა მიიღონ სკოლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, წვლილი შეიტანონ სკოლის დემოკრატიული კულტურის განვითარებაში.

რესურსი „მოსწავლეთა თვითმმართველობასკოლის დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის“ შეგიძლიათ იხილოთ ფორუმის ვებგვერდის: ctf.org.ge ბიბლიოთეკაში.

დემოკრატიული სკოლის პოვნისას:

სკოლების მოტივაციის გაზრდის მიზნით, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კონფერენცია, რომელზეც დაჯილდოვებიან დემოკრატიული სკოლები. კონკურსში მონაწილეობის მსურველი სკოლები წინასწარ გავრცელებულ აპლიკაციაში ასახავენ, თუ





როგორ უწყობს ხელს და რას აკეთებს სკოლა მოსწავლეთა ინტერესების, მათი პრობლემების მოგვარებისა და მოსაზრებების გათვალისწინებისათვის. კონფერენცია შესაძლებლობას იძლევა, სკოლებმა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, მოისმინონ ექსპერტების მოსაზრებები და რჩევები. პროგრამის ფარგლებში, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი მოამზადებს და ჩაატარებს დემოკრატიული სკოლის 5 ყოველწლიურ კონფერენციას.

შესაძლებელია საბუნებისმეტყველო რესურსების გამოყენება:

სკოლის თვითმმართველობაში მონაწილეობით, მოსწავლეებს უვითარდებათ დემოკრატიული ღირებულებები, აქტიური მოქალაქის უნარ-ჩვევები. მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა თვითმმართველობებმა ერთმანეთთან თანამშრომლობით გაიზიარონ ის უფ-

ლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რომლებიც შესაძლოა გაცდეს სკოლას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის საწყის ეტაპზე, ფორუმმა ორგანიზება გაუწია საგანმანათლებლო რესურსცენტრთან სამუშაო შეხვედრებს. სულ ჩატარდა 4 ასეთი შეხვედრა და მასში მონაწილეობა მიიღო 65 რესურსცენტრის წარმომადგენელმა. შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის ფარგლებში, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თვითმმართველობის თანამშრომლობითი შესაძლებლობების გაძლიერებას:

- გამოცდილების გაზიარებით
- საერთო ინტერესის სფეროს გამოკვეთით
- საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეთა და მოსწავლეთა თვითმმართველობების ინტერესების დასაცავად მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობით.

მოსწავლეთა თვითმმართველობების ქსელის ფორმირება:

პროგრამის ფარგლებში, შეიქმნება საქართველოს სასკოლო თვითმმართველობების გაერთიანება, რომელსაც რამდენიმე ძირითადი მიზანი ექნება:

- საქართველოში სასკოლო თვითმმართველობების გაძლიერება;
- მოსწავლეთა ინტერესების დაცვა;



- მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა სახელმწიფო მართვაში;
- კერძო სექტორის დაკავშირება სასკოლო თვითმმართველობებთან.

ქსელის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი თვითმმართველობებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება და გამოცდილების გაზიარების უზრუნველყოფაა. ამას გარდა, ქსელი განახორციელებს კვლევებს საქართველოს მასშტაბით, რათა იდენტიფიცირებულ იქნეს ის საჭიროებები, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესის საგანს წარმოადგენს და შემდეგ სწორედ ამ საჭიროებების შესაბამისად მოხდეს ქსელის საქმიანობის დაგეგმვა.

ამგვარად, USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა ხელს უწყობს კონვენციის მონაწილეობის კატეგორიის რეალიზებას არა მარტო სკოლის ფარგლებში, არამედ მის გარეთაც, საქართველოს მასშტაბით.

დემოკრატიული სკოლის წახალისების მიზნით, ქვემოთ მოწოდებული რეზიუმე:

USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში, ორგანიზებულია კონკურსი, რომლის მიზანი, მოსწავლეთა თვითმმართველობების ჩართულობით, დემოკრატიული მართვის საუკეთესო

მიდგომებისა და სამოქალაქო განათლების სწავლების ეფექტიანი მეთოდების მქონე სკოლების გამოვლენაა. საქართველოს მასშტაბით, რეგიონში 3-4 ლიდერი სკოლა გამოვლინდება; ისინი კარგი პრაქტიკის გაზიარებით, ხელს შეუწყობენ რეგიონის სხვა სკოლების გაძლიერებას. ლიდერ სკოლებს ჯილდოს სახით გადაეცემათ ტექნიკა.

მოსწავლეთა პროექტები და ინიციატივები

საქართველოს მასშტაბით, პროგრამაში ჩართულია 11 რეგიონული პარტნიორი ორგანიზაცია. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სკოლებში სამოქალაქო განათლების კლუბებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერებისათვის.

ორგანიზაციები მხარს უჭერენ და ეხმარებიან მოსწავლეებს პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებაში.

USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში, პროექტების განხორციელებისათვის, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ დაფინანსება 450 დოლარის ოდენობით. ამ მიმართულებით ისინი ახორციელებენ ადვოკატირებას, საინფორმაციო კამპანიებს; ზრუნავენ სკოლის ინფრასტრუქტურაზე და მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე.

პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულია ბიზნეს-ფორუმები, სადაც რეგიონებში მოქმედი ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ეცნობიან და აფინანსებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებულ პროექტებს.

ინფორმაცია მოსწავლეთა პროექტების, ინიციატივებისა და ბიზნეს-ფორუმების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ პროგრამის ფეისბუქ გვერდზე:

<https://www.facebook.com/USAIDCEP>






ჩემი უფლება, მივიღო განათლება



მე მაქვს განათლების მიღების უფლება

ჩემი უფლებაა, მივიღო უფასო დაწყებითი განათლება. საშუალო და უმაღლესი განათლება ჩემთვის ყოველმხრივ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სკოლა და მასწავლებლები მიმართულნი უნდა იყვნენ ჩემი ნიჭისა და შესაძლებლობების განვითარებისკენ, ისინი ჩემდამი და, ასევე, ჩემ გარშემო მყოფი ადამიანებისადმი პატივისცემით უნდა იყვნენ განწყობილნი. განათლებამ უნდა მომამზადოს სრულფასოვანი ცხოვრებისთვის, ამასთან, მასწავლოს სხვა გარემო პირობებთან ადაპტირება და ადამიანების პატივისცემა.

(გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 28 & 29).





მაია ბაგრატიონ-ზარუკიანი
ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

სტრატეგიული საკითხები, რომლებიც

ინკლუზიური განათლების

წინაპირობას ქმნის


განსაკუთრებული სწავლის

საქართველოს კონსტიტუცია და კანონი ზოგადი განათლების შესახებ სკოლას და თანამედროვე მასწავლებელს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს.

არსებული მარეგულირებელი დოკუმენტები აღიარებს, რომ ყველას აქვს განათლების თანატოლებთან ერთად მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფ-

ლება, დაუშვებლად მიიჩნევს აღნიშნული უფლების დარღვევას და დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

მაშასადამე, კანონი და კონსტიტუცია გვავალებულებს, რომ სასკოლო სივრცე ირეკლავდეს



ილუსტრაცია სახელმძღვანელოდან – სპეციალური მასწავლებლის გამკვლევი; ლიკა ქურციკიძე, ბაია კუბლაშვილი; 2021

ქვეყანაში მოქალაქეთა და სკოლის ასაკის მოსწავლეთა მრავალფეროვნებას და თანამედროვე სკოლაში ვხვდებოდეთ ერთმანეთისგან მრავალი ნიშნით განსხვავებულ მოსწავლეებს, რომლებიც თანაარსებობენ ერთ საგანმანათლებლო სივრცეში და სრულიად სამართლიანად სარგებლობენ კონსტიტუციური უფლებით.

ზემოთ მოცემული ნორმალური განაწილების მრუდი ასახავს სკოლაში მოსწავლეთა მრავალფეროვან რეპრეზენტაციას/წარმომადგენლობას. იმავდროულად, მრუდი თვალსაჩინოდ ავლენს, რომ სკოლაში ამა თუ იმ ნიშნით (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობით, ლინგვისტური, ეთნიკური კუთვნილებით და სხვ.) განსხვავებული მოსწავლეები, როგორც წესი, მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი და ამიტომაც მათ უმცირესობას უწოდებენ; დანარჩენი მოსწავლეები კი უმრავლესობას ქმნიან.

მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებულ მოსწავლეებს სკოლაში მცირე რაოდენობით ვხვდებით, მათი ჩართულობით მიღებული მრავალფეროვნება და განსხვავებულობა ნორმად უნდა იყოს აღქმული. თანამედროვე სკოლა მრავალფეროვანია, ის აერთიანებს მრავალი განსხვავებული ნიშნის მქონე წარმომადგენელს. სკოლა კი ვალდებულია აღიაროს ეს მრავალფეროვნება, დააფასოს და გათვალისწინოს ის მოსწავლეთა სასწავლო პროცესის ორგანიზებისას.

იმავდროულად, პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხშირად სკოლას უჭირს ამ მრავალფეროვნებასთან გამკლავება. შედეგად, საგანმანათლებლო სისტემაში ვხვდებით ჩვევად ქცეულ პრაქტიკას, როდესაც მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესის მომდინარეობისას (დაგეგმვისას და განხორციელებისას) ორიენტირებულნი არიან იმ მოსწავლეებზე, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ და მხედველობიდან რჩებათ ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული და უმცირესობაში მყოფი მოსწავლეები, მაგ.: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლეები, ლინგვისტური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეები ან სწავლისადმი დაბალი მოტივაციის მქონე მოსწავლეები... შედეგად, ისინი სხვებზე დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან.

თუმცა მასწავლებელი არასაკმარისად ფლობს დანაკლებად იზიარებს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, განსაკუთრებით ბარალდებიან მოსწავლეები, რომლებიც უმრავლესობისგან ერთდროულად ორი ან მეტი ნიშნით გამოირჩევიან, მაგალითად, აქვთ განსხვავებული რელიგია და ეთნიკური კუთვნილება ვიდრე თანაკლასელებს; არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და იმავდროულად ლინგვისტური უმცირესობის წარმომადგენლები.

მასწავლებლის მხრიდან უპირატესობის მინიჭება მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის და, სასწავლო პროცესის ორგანიზებისას, უმცირესობის არასაკმარისად გათვალისწინება, დისკრიმინაციულ პირობებში აყენებს მათ, იწვევს სასწავლო პროცესიდან ამ მოსწავლეების გარიყვას და მანკიერი როლური მოდელის დამკვიდრებას (გაიზრდება ალბათობა იმისა, რომ მოსწავლეებმა გაიმეორონ მასწავლებლის ქცევა და თავადაც უყურადღებოდ დატოვონ თანაკლასელები, სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას).

ხშირად, მასწავლებლები თავიანთ მიდგომას ამართლებენ იმით, რომ თუ უმცირესობებზე იქნებიან ორიენტირებულნი, „რამდენიმეს გამო, უმრავლესობა დაიჩაგრება“, დააკლდება მასწავლებლის მხარდაჭერა და ყურადღება.

თანამედროვე სკოლა გამორიცხავს შესაძლებლობას, მასწავლებელი არჩევანს აკეთებდეს მოსწავლეთა შორის და უპირატესობას ანიჭებდეს ერთ ან მეორე ჯგუფს. მიუხედავად არათანაბარი განაწილებისა, დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემა ითვალისწინებს კლასში ჩართულ მოსწავლეთა სრულ მრავალფეროვნებას და თანაბრად აფასებს მათ როგორც უმრავლეს, ისე უმცირეს წარმომადგენ-

ლობას, ყველას და თითოეულს, რადგან სწორედ ამ მრავალფეროვნებას აღიარებს ნორმად.


სპლა ინკლუზიური ღირებულებების

მრავალ ქვეყანას მოუწია ცვლილების მნიშვნელოვანი გზის გავლა იმისათვის, რომ განსხვავებული ნიშნის მქონე მოსწავლეების მიმართ გავრცელებული ექსკლუზიური მიდგომები ინკლუზიური ღირებულებებით ჩაენაცვლებინა. ექსკლუზიის მიზეზი ხშირად უმრავლესობისგან განმასხვავებელი ნებისმიერი ნიშანი ხდებოდა, იქნებოდა ეს ეთნიკური წარმომადგენლობა, სქესი, შეზღუდული შესაძლებლობა თუ სხვ..

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ექსკლუზიის ეტაპი: ექსკლუზიური მიდგომების ეტაპზე საგანმანათლებლო სისტემა ხასიათდება სრული მიუღებლობით საშუალო უმრავლესობისგან ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული მოსწავლეების მიმართ. განათლების სისტემაში ჩართვის უფლება მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს ენიჭება, ხოლო სხვადასხვა ნიშნით უმცირესობათა წარმომადგენლები განათლების მიღება რჩებიან.

სეგრეგაციის ეტაპი: სეგრეგაციის ეტაპზე საგანმანათლებლო სისტემა აღიარებს მოსწავლეთა მრავალფეროვანი ჯგუფებისთვის განათლების მიწოდების შესაძლებლობას, თუმცა არ უშვებს მათ საყოველ-



ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს ფორმირებას ორი მნიშვნელოვანი გარემოება განაპირობებს: (ა) განვითარების რომელ ეტაპზე იმყოფება ქვეყნის განათლების სისტემა; (ბ) მიდგომებისა და ღირებულებულებების ფორმირების რომელ ეტაპზე იმყოფება მასწავლებელი.

თუკი საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ინკლუზიური განათლებისა და დიფერენცირებული სწავლების დანერგვას ისტორიულ რაკურსში განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ სისტემური ცვლილებები სწრაფად არ მომხდარა, ექსკლუზიური მიდგომები პირდაპირ ინკლუზიურით არ ჩანაცვლებულა. ამ გზაზე განათლების სისტემამ რამდენიმე ეტაპი — მათ შორის, სეგრეგაციისა და ინტეგრაციის ეტაპები გაიარა.

თაო საგანმანათლებლო სივრცეში და განათლების მისაღებად მათთვის სპეციალიზებულ დაწესებულებებს (სპეც. სკოლები, სკოლა-პანსიონები, შინ სწავლება) განსაზღვრას.

ინტეგრაციის ეტაპი: ინტეგრაციის ეტაპზე, საგანმანათლებლო სისტემა კარს უდებს განსხვავებული ნიშნის მქონე პირებს; საჯარო სკოლებში ხდება უმცირესობათა წარმომადგენლების დაშვება, მაგრამ ამას არ მოსდევს განსხვავებული ნიშნის მქონე მოსწავლეთა თანატოლებთან ასიმილაცია. ამდროს უმცირესობათა ჯგუფი ინტეგრირდება ერთიან სასწავლო სივრცეში, თუმცა მათი იზოლაცია თანატოლებისგან გრძელდება.

ინკლუზიის ეტაპი: ინკლუზიის ეტაპზე ადგილი აქვს მოსწავლეთა ჩართულობას, მონაწილეობას

და ინტერაქციას ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში; სრულდება მოსწავლეთა დიფერენცირება რაიმე ნიშნის მიხედვით და უპირობოდ ხდება მათთვის განათლების მიწოდება თანატოლების სივრცეში. სწავლების პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა მრავალფეროვნების გათვალისწინებას. კლასში სხვადასხვა ნიშნის მქონე მოსწავლეთა მრავალფეროვნება ნორმალიზებულია.

ხშირად მასწავლებლები ღირებულებათა ფორმირების და ცნობიერების ცვლილების ანალოგიურ გზას გადიან. მათი თავდაპირველი მიდგომები, შეიძლება ემყარებოდეს ხედვას, რომ განსხვავებული ნიშნის მქონე მოსწავლეები სხვაგვარ სასწავლო გარემოს მოითხოვენ; რთული ან შეუძლებელია მოსწავლეთა მრავალფეროვანი ჯგუფების სწავლება; მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა იყოს მოსწავლეთა იმ ჯგუფზე ორიენტირებული, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს; უმცირესობათა სწავლებას მასწავლებელთა ცალკე ჯგუფი, განსხვავებული კომპეტენცია სჭირდება და ა.შ..

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა ამგვარი ხედვისა და დამოკიდებულების დამკვიდრებას რამდენიმე წინაპირობა აქვს. კერძოდ – მასწავლებელთა განათლება წლების განმავლობაში ითვალისწინებდა მათთვის მხოლოდ უნარ-ჩვევების გამომუშავებას; ამით ისინი „ტიპურ“ მოსწავლეთა სწავლებას შეძლებდნენ. იმავდროულად, საქართველოს საჯარო სკოლებში ძირითადად ვხვდებით მოსწავლეთა ჰომოგენურ ჯგუფებს და ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული მოსწავლეების ჩართულობა უფრო გამონაკლისს წარმოადგენდა, ვიდრე ნორმას.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში, სადაც პარადიგმების ცვლილება მოხდა და მრავალფეროვნება იქცა ნორმად, შეიცვალა მოლოდინები მასწავლებლის კომპეტენციის მიმართაც. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მიმღებლობა განსხვავებული ბის მიმართ (დამოკიდებულება); მასწავლებელმა

უნდა იცოდეს, როგორ გაუმკლავდეს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას (ცოდნა); მასწავლებელი ეფუძნება უნდა რეაგირებდეს მრავალფეროვნებაზე (უნარ-ჩვევა).

მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციის ზრდის პროცესი უნდა იწყებოდეს გულწრფელი თვითრეფლექსიით, რა დროსაც მასწავლებელმა გულახდილად უნდა შეაფასოს, ღირებულებათა ფორმირების რა ეტაპზე იმყოფება იგი, რამდენად საკმარისად აქვს მას გათავისებული ინკლუზიური განათლების საკვანძო ღირებულებები. დამოკიდებულებათა, ღირებულებათა სისტემის იდენტიფიცირების შემდეგ, მასწავლებელმა უწყვეტად უნდა გააგრძელოს თითგანვითარებაზე ზრუნვა (ექსკლუზიისა და სეგრეგაციის ღირებულების მქონე მასწავლებელი არღვევს მოსწავლეთა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას; ინტეგრაციის ღირებულებების მქონე მასწავლებელი დაუყოვნებლივ საჭიროებს კომპეტენციის გაძლიერებას; ინკლუზიური ღირებულებების მქონე მასწავლებელი კი უწყვეტად უნდა აგრძელებდეს პროფესიულ დაპიროვნულ განვითარებას, იმისათვის, რომ შეძლოს ახალ-ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა და, მუდმივად ცვალებად სასწავლო გარემოში, განსხვავებული ნიშნის მქონე მოსწავლეთა ახალი ნაკადის წარმატებით მიღება).

შესაძლებლობების გამოანბნება

დისკრიმინაციისაგან თავისუფალი სასწავლო გარემოს ფორმირების წინაპირობა არის მასწავლებლის უნარი, აღიაროს მოსწავლეთა შორის არსებული განსხვავებულობა და განსხვავებულობაზე მართებული რეაგირებით, უზრუნველყოს მოსწავლეთა შესაძლებლობების გათანაბრება, თუნდაც ეს მოსწავლეთა მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებას გულისხმობდეს.

ამხედვის საპირისპიროდ, ხშირად მცდარად არის მიჩნეული, რომ გაუმართლებელია მოსწავლეებთან



განსხვავებული მიდგომების გამოყენება, რადგან ეს ხაზს უსვამს მოსწავლეთა შორის განსხვავებულობას და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მათ.

მოვიყვანოთ მაგალითი: მასწავლებელმა არ გაითვალისწინა სპეციალისტის რჩევა დისლექსიის მქონე მოსწავლესთან დაკავშირებით და უარი თქვა მისთვის საკონტროლო დავალებისთვის (რომელიც ტექსტის გააზრებას და კითხვებზე პასუხის წერილობით გაცემას გულისხმობდა) განკუთვნილი დრო 15 წუთით გაეხანგრძლივებინა. თავისი პოზიციის არგუმენტად, მასწავლებელმა მოიყვანა შემდეგი: მოსწავლისთვის განსხვავებული პირობების შექმნა არასამართლიანია სხვა მოსწავლეების მიმართ; ამასთან ერთად, 15 წუთის დამატებით, მოცემული მოსწავლე თავს იგრძნობს განსხვავებულად, მასწავლებელს კი სურს მოსწავლეს უსიამოვნო განცდები აარიდოს თავიდან.

მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ მასწავლებელი თავს არიდებს განსხვავებულობის ხაზგასმას; განსხვავებული მიდგომების გამოყენება მას მცდარ, არასასურველ და არასამართლიან სტრატეგიად მიაჩნია.

მოცემულ შემთხვევაში, ყველაზე დიდი უსამარ-

თლობა სწორედ განსხვავებულ პირობებში მყოფ მოსწავლეთა მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის გამოყენებაა. მოსწავლეთა შესაძლებლობებს შორის განსხვავების არდანახვა/იგნორირება გამოიწვევს ყველაზე უსამართლო შედეგს – ინდივიდუალურად მორგებული პირობის, დამატებითი დროის გარეშე მოსწავლე ვერ შეძლებს ტექსტის სათანადოდ დამუშავებას, გააზრებას, წერილობითი პასუხების ჩამოყალიბებას და, მაშასადამე, თავისი შესაძლებლობების სრულად დემონსტრირებას (რასაც ის ეფექტურად შეძლებდა გაზრდილი დროის პირობებში).

იმავდროულად, ინდივიდუალური საჭიროებების იგნორირებით, მასწავლებელი ვერ აარიდებს მოსწავლეს იმის შეგრძნებას, რომ ის სხვებისგან განსხვავებულია. მეტიც, გაზრდილი დროის გარეშე შესრულებული საკონტროლო დავალების შედეგის გამო, მოსწავლე თავს არა მხოლოდ განსხვავებულად, არამედ წარუმატებლადაც კი იგრძნობს.

მასწავლებლის ამოცანაა, მოსწავლეებს ყველა პირობა და შესაძლებლობა შეუქმნას სასწავლო პროცესში ჩართულობისთვის, პროგრესისთვის, წარ-

მატების მიღწევისთვის. ამისათვის მან უნდა დაინახოს თითოეული მოსწავლის უნიკალური თავისებურებები და საჭიროებები; მოსწავლეები ერთმანეთისგან სწორედ ამ თავისებურებებით და საჭიროებებით განსხვავდებიან. განსხვავებულ საჭიროებებზე ერთგვაროვანი რეაგირებით, მოსწავლეებელი ვერ გაათანაბრებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ეს სამართლიან შედეგს არ მოიტანს.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები მართლაც ინდივიდუალურად გააანალიზებს თითოეული მოსწავლის საჭიროებას და ყველას უზრუნველყოფს იმგვარი და იმ ოდენობის მხარდაჭერით, რაც მათ სჭირდებათ, სამართლიანი შედეგი დადგება.

დისკრიმინაციისა და უთანასწორო მდგომარეობის აღიქმა

საქართველოს კონსტიტუცია და კანონი ზოგადი განათლების შესახებ ხაზს უსვამს, რომ დაუშვებელია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელის ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

აღნიშნული საგანგებო ჩანაწერების საჭიროება გააჩნია სამუხარო ისტორიულმა გამოცდილებამ – ხშირად დისკრიმინაციის მსხვერპლი სწორედ აღნიშნული ნიშნის მქონე პირები, მათ შორის, მოსწავლეები ხდებიან. კონსტიტუციისა და კანონის ჩანაწერები კი უთანასწორო მდგომარეობაში მოხვედრისგან აბღვევს ბავშვებს, რომლებიც ზემოთ ნახსენები თავისებურებებით ხასიათდებიან.

მაშასადამე, მოსწავლეებს მართებთ განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა ამ ნიშნის/თავისებურებების მქონე მოსწავლეების მიმართ და შესაბამისი ინტერვენციის განხორციელება დისკრიმინაციის პრევენციის ან მასზე მართებული რეაგირების თვალაზრისით (იმუკიდურეს შემთხვევაში, თუ დისკრიმინაციის აცილება ვერ მოხდა.)

კიდევ უფრო მეტი სენსიტიურობა მართებთ მოსწავლეებს იმ მოსწავლეთა მიმართ, რომლებიც ორი ან მეტი ნიშნით გამოირჩევიან თანატოლებისგან. ამ შემთხვევაში მოსწავლეების ამოცანა ხდება ინტერსექციული დისკრიმინაციის თავიდან არიდება. დისკრიმინაციის აღნიშნული ფორმა (ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია) ეფუძნება ნიშნების კომბინაციას და ხორციელდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც გამოირჩევიან ერთდროულად ორი ან მეტი ნიშნით; მაგ.: თუ მოსწავლე ვერ მიიღებს საახალწლო ღონისძიებაში მონაწილეობას იმის გამო, რომ საშობაო წარმოდგენის პირველ ნაწილში მოსწავლეები ქართულად გალობენ, მეორე ნაწილში კი ქართულ ცეკვებს ასრულებენ, აღნიშნული მოსწავლე კი ეტლით მოსარგებლე ლინგვისტური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელია და თანაც ცოტა ხნის წინ გადმოვიდა აღნიშნულ მუნიციპალიტეტში და ჩაირიცხა მოცემულ სკოლაში, ადგილი ექნება სამი ნიშნით დისკრიმინაციას.

მოცემულ შემთხვევაში, დისკრიმინაციის აცილების მიზნით, მოსწავლეებს მართებდა მოსწავლის სამივე მახასიათებლის – ფიზიკური შეზღუდვის, ენისა და რელიგიის თავისებურების გათვალისწინება, რადგან მხოლოდ ერთი ან ორი ნიშნის გათვალისწინება, არ იქნებოდა საკმარისი დისკრიმინაციის პრევენციისთვის.

სწავლების უნივერსალურ დიზაინში დახელოვნებული მოსწავლეები ამ გამოწვევას გაუმკლავდებოდა. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები საკმარის სენსიტიურობას გამოვლენდა მოსწავლის თავისებურებების მიმართ და საახალწლო/საშობაო ღონისძიებას საწყის ეტაპზევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ეტლით მოსარგებლე ბავშვის გათვალისწინებით დაგეგმავდა, დისკრიმინაცია აცილებული იქნებოდა.

გვახსოვდეს, უმრავლესობაზე მორგებით დაგეგმილ პროცესებში განსხვავებული მოსწავლეების მოგვიანებით ჩართვა უფრო რთულია, ვიდრე

პროცესების იმგვარად დაგეგმვა, რომ თითოეული მოსწავლის თავისებურება იმთავითვე/დასაწყისშივე იქნეს გათვალისწინებული.

უფლებები განათლების პროცესში

განათლების ფუნდამენტური და კონსტიტუციით მინიჭებული უფლების რეალიზება მოსწავლის სასწავლო გარემოში ჩართვით იწყება. იმავდროულად, მოსწავლის სკოლაში რეგისტრაცია და კლასში ფიზიკური დასწრება არასაკმარისი პირობაა იმისათვის, რომ განათლების უფლება აღსრულებულად ჩაითვალოს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად მოსწავლეები კლასში ყოველდღიური დასწრების პირობებშიც კი გარიყულად გრძნობენ თავს სასწავლო პროცესიდან და თანატოლებისგან; მიუხედავად სურვილისა და ინტერესისა, მრავალ სასკოლო საქმიანობაში ვერ ერთვებიან და აკადემიური პროგრესიც ნაკლებად აღენიშნებათ.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, განათლების მიღების პროცესში მოსწავლეს აქვს მისაწვდომობის, მონაწილეობისა და პროგრესის უფლება.



მასწავლებელს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია აღნიშნული უფლებების რეალიზების პროცესში. განვიხილოთ თითოეული პირობა.

სასწავლო პროცესის მისაწვდომობის უფლება:

მასწავლებელს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ რაც ერთი მოსწავლისთვის იოლად მისაწვდომია, მეორისთვის რთულად მისაწვდომი და სრულად მიუწვდომელი შეიძლება იყოს; მაგ.: სმენის დარღვევის მქონე მოსწავლისთვის მთელი საგაკვეთილო პროცესი მიუწვდომელი იქნება, თუ მასწავლებელი მას განსაკუთრებულ ადგილს არ მიუჩენს წინა რიგებში და მუდმივად არ გაააკონტროლებს თავისი ხმის ტემბრს და პოზიციას მოსწავლესთან მიმართებაში (თუკი მოსწავლეს მოსაუბრის გაგებაში ბაგებე კითხვა ეხმარება, ის მუდმივად უნდა ხედავდეს მასწავლებელს); ასევე მიუწვდომელი დარჩება სავალდებულო სასკოლო ინფორმაცია ლინგვისტური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლისათვის, თუ სკოლის უსაფრთხოების წესები მას საგანგებოდ, მისთვის ხელსაყრელ ფორმატში მშობლიურ ენაზე არ მიეწოდება.

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი მისაწვდომი იყოს კლასში ჩართული ყველა მოსწავლისთვის, მასწავლებელს უნდა შეეძლოს განსხვავებული სასწავლო მასალის, რესურსების, ინფორმაციის წარდგენის სტრატეგიებისა და აქტივობების შერჩევა მოსწავლეთა მრავალფეროვნების გათვალისწინებით. მაგალითად, ქართული ენის გაკვეთილზე ნაწარმოების გმირისთვის შესაფასებლად, მასწავლებელმა მოსწავლეთა ერთ ჯგუფთან შეიძლება გამოიყენოს ტექსტი სახელმძღვანელოდან, მეორე ჯგუფს კი აღნიშნული ნაწარმოების შესაბამისად შექმნილი სიუჟეტური გამოსახულებები მიაწოდოს. ამგვარად, მასწავლებელი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და აქტივობის თანაბარ მისაწვდომობას ყველასთვის – იმ მოსწავლეებისთვისაც, რომლებიც გაწაფულად კითხულობენ და იმათთვისაც, რომლებსაც კითხვის ან ენის ცოდნის სირთულეები აღენიშნებათ.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი სასწავლო აქტივობას დაგეგმავს კლასში მოსწავლეთა უმრავლესობის გათვალისწინებით, რაც არ უნდა ეფექტური სასწავლო სტრატეგია შეარჩიოს მანამა თუ იმნიშნით განსხვავებულ მოსწავლეთა ჯგუფისთვის, მოცემული აქტივობა შეუსაბამო აღმოჩნდება ცალკეული მოსწავლისთვის (მაგ.: ლინგვისტური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვისთვის ან მოსწავლისთვის, რომელსაც წერის პრობლემა აქვს ან მიმართული მეტყველების გაგება უჭირს). ამ მოსწავლეებთან განათლების მისაწვდომობის ფუნდამენტური უფლება დაცულად ვერ ჩაითვლება.

თანამონაწილეობის უფლება: მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ სკოლის მიტოვების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სასწავლო პროცესებში ბავშვის თანამონაწილეობის შეზღუდვა სახელდება. შესაბამისად, იმისათვის, რომ არ დაირღვეს მოსწავლის განათლების ფუნდამენტური უფლება, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მას სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობისა და ჩართულობის პირობები შეუქმნას. ამისათვის მასწავლებელი უწყვეტად უნდა აფასებდეს, რამდენად საკმარისად არის მისი თითოეული მოსწავლე სკოლაში მიმდინარე პროცესების თანამონაწილე, ხოლო არ არსებობს რამე ფაქტორი, რომელიც ბავშვებს აქტიური ჩართულობის შესაძლებლობას უზღუდავს. თუ მასწავლებელი არასაკმარისად აკონტროლებს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში თანამონაწილეობის საკითხს, ეტლით მოსარგებლე მოსწავლე შეიძლება მოკლებული აღმოჩნდეს შესაძლებლობას, კლასთან ერთად ექსკურსიაზე წავიდეს, თუკი გასვლითი ღონისძიება ეტლისთვის მიუწვდომელად გილას დაიგეგმება; ექსკურსიაში მონაწილეობა შეიძლება ვერ მიიღოს ვერც განსხვავებული რელიგიის წარმომადგენელმა მოსწავლემ, თუკი გასვლითი დღე მისი ოჯახისთვის მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულზე დაიგეგმება.

გასათვალისწინებელია შემდეგიც: ცოდნის დაგროვებისთვის მოსწავლეები აქტიურობას და კეთების

გზით სწავლას საჭიროებენ, ამიტომ ისინი უწყვეტ ინტერაქციაში უნდა იყვნენ თანაკლასელებთან, მასწავლებლებთან და სასწავლო მასალასთან.

მოსწავლის აქტიურობის წახალისება მასწავლებლის ამოცანაა. სწორედ ის უნდა ზრუნავდეს მოსწავლისთვის საინტერესო და შესაბამისი სასწავლო აქტივობის შერჩევაზე, რომ ბავშვს აქტივობაში მონაწილეობის შესაძლებლობა და სურვილი გაუჩნდეს. ხანგრძლივად პასიურ მდგომარეობაში მყოფი მოსწავლის მიმართ განათლების ფუნდამენტური უფლება ირღვევა.

პროგრესის უფლება: მისაწვდომობა და სასწავლო პროცესებში თანამონაწილეობა განაპირობებს მესამე ფუნდამენტურ უფლებას – ეს აკადემიური პროგრესის მიღწევის უფლებაა. ყველა ბავშვს აქვს უფლება, მასზე მორგებული სასწავლო პროცესის საფუძველზე, ჰქონდეს აკადემიური პროგრესი. მასწავლებლის ვალდებულება კი ამ პროგრესის უზრუნველყოფაა. სასწავლო პროცესი ვერ ჩაითვლება წარმატებულად, თუ მან მოსწავლის აკადემიური პროგრესი ვერ უზრუნველყო.

შესაბამისად, მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის შეთავაზებულ საკლასო აქტივობას სასწავლო ღირებულება უნდა ჰქონდეს. არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები აღნიშნულ გამოწვევას სათანადოდ ვერ უმკლავდებიან. შედეგად, მოსწავლე შეიძლება ჩართული იყოს გარკვეულ აქტივობაში, მაგალითად, აფერადებდეს გაკვეთილზე, მარტივ დიალოგს/როლურ თამაშს ასრულებდეს მასწავლებელთან ერთად, მაგრამ აღნიშნულ აქტივობებს მისი აკადემიური პროგრესი არ მოყვებოდა. ამ აქტივობების გაანალიზებისას აღმოვაჩინეთ, რომ მოსწავლე რუტინულად არის მათში ჩართული; ისინი სიახლის ან გამოწვევის შემცველი აღარ არის მისთვის და, შესაბამისად, არავითარი საგანმანათლებლო ღირებულება აღარ აქვს.

ამასთან ერთად, მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მოსწავლეები აკადემიურ პროგრესს თავიანთი

შესაძლებლობის ფარგლებში აღწევენ. ზოგიერთი მოსწავლის შედეგი, მიუხედავად დახარჯული ძალისხმევისა, შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს თანატოლთა მიღწევებისგან; მაგალითად, ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე მოსწავლემ, სასწავლო წლის განმავლობაში, შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ასო-ბგერის ათვისება მოახერხოს, თანაკლასელებისგან განსხვავებით, რომლებიც შეიძლება უკვე ტექსტებსაც კი კითხულობენ. მიუხედავად ამისა, მოსწავლის შედეგი ღირებულების მატარებელი და დაფასებული უნდა იყოს მასწავლებლის მხრიდან. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს მოსწავლისთვის საუკეთესო შედეგადაც შეიძლება ჩითვალოს, მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებლის ვალდებულებაა, ყველა მოსწავლეს თანერთიანი მონდომებით იყოს ორიენტირებული პროგრესზე, არ გამოეპაროს მოსწავლის მინიმალური წინსვლა ცი. დაუშვებელია, მასწავლებელმა გულგრილობა გამოიჩინოს და არ დაუფასოს მოსწავლეს მიღწეული შედეგი იმ მიზეზით, რომ მისი შედეგი ჩამორჩება კლასში სხვა მოსწავლეთა მიღწევებს.

სწავლების უნივერსალური დიზაინი

სწავლების თანამედროვე მიდგომა, რომელიც უნივერსალური დიზაინის პრინციპებს ეფუძნება, ქმნის სწავლის თანაბარ შესაძლებლობას ყველა ინდივიდისთვის, მიუხედავად მათ შორის არსებული ბუნებრივი განსხვავებისა. მისი ძირითადი პრინციპია – სწავლა-სწავლებისას მოხდეს ყველა მოსწავლისთვის რელევანტური სასწავლო მეთოდების, მასალისა და შეფასების სისტემის გამოყენება. სწორედ ამიტომ, სწავლების ამ მიდგომას „უნივერსალური“ ეწოდება. ამ პრინციპების გათვალისწინებით დაგეგმილი სწავლის პროცესი შედეგის მომტანია საყოველთაოდ, ყველასთვის და არა მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფისთვის.

უნივერსალური დიზაინის პრინციპების თანახმად, იმისათვის, რომ სწავლის პროცესი წარმატებით

განხორციელდეს, მოსწავლისთვის ცხადად და ექსპლიციტურად უნდა იყოს მოცემული შემდეგი სამი საკითხი:

- რას ვსწავლობ?
- როგორ ვსწავლობ?
- რატომ ვსწავლობ?

უნივერსალური დიზაინის პრინციპით სწავლა/სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგ კომპონენტებს:

სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი და მოქნილი საშუალებების გამოყენება – უნივერსალური დიზაინის პრინციპი აღიარებს, რომ ცოდნის დაუფლების პროცესში ინტერესის აღძვრისთვის, შესასწავლო ბიექტზე ყურადღების მიპყრობისა და შენარჩუნებისთვის მრავალფეროვანი გზები, საშუალებები და რესურსები უნდა იყოს გამოყენებული. იმავედროულად, მოცემული მიდგომა ხაზს უსვამს იმას, რომ მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სწავლის სტილით – ზოგიერთი მოსწავლე უკეთ ეუფლება ახალ მასალას თუ ის მას ვიზუალურად მიეწოდება, ზოგიერთს სჭირდება ინფორმაციის სმენითად წარდგენა, ასევე, არსებობენ ბავშვები, რომლებიც ცოდნის მიღებისთვის უნდა ისმენდნენ ახალ ინფორმაციას და იმავედროულად ხედავდნენ მას; გარდა ამისა, ვხვდებით უამრავ მოსწავლეს, რომელიც ახალ ცოდნას ეუფლება მხოლოდ მაშინ, როცა თავად გამოცდის და/ან ჩაერთვება კეთების პროცესში.

თანამედროვე მასწავლებელს არ უნდა გამოეპაროს, სწავლის როგორი და რამდენად განსხვავებული სტილი აქვთ მის მოსწავლეებს. მასწავლებელმა მოსწავლეებს ინფორმაციის მიღებისა და ცოდნის დაუფლების პროცესში მრავალფეროვანი მეთოდები უნდა შესთავაზოს. ამისათვის მასწავლებელი არ შემოიფარგლება მხოლოდ ზეპირსიტყვიერებით (ინფორმაციის გადაცემის ვერბალური და სმენითი გზა) და მოსწავლეებს შესთავაზებს ვიზუალურ მინიშნებებს, ილუსტრაციებს, ფოტოებს, ცხრილებს, პოსტე-

რებს. ამასთან ერთად, არ დაივიწყებს მოსწავლეები ჩართოს კეთების პროცესში და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებით, აქტიური მონაწილეობითა და მოქმედებით აღმოაჩენინოს მათ სიახლეები.

შექნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სხვადასხვა გზით გამოხატვა – აღნიშნული მიდგომის მხარდამჭერი მასწავლებელი თავის მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას, მიღებული ცოდნის დემონსტრირებისთვის თავადაც გამოიყენონ ალტერნატიული გზები და ერთი და იმავე საკითხის დემონსტრირებისთვის გამოიყენონ განსხვავებული საშუალებები – დახატონ, გამოძერწონ ან შექმნან; ინფორმაცია გეპირსიტყვიერად აღწერონ ან წერილობით გადმოსცენ; თავად განასახიერონ, გამოიყენონ სხვადასხვა არსებული თუ მოძიებული პროდუქტი, მათი კომბინაცია და სხვ..

ამგვარი მიდგომით დაგეგმილ გაკვეთილზე მრავალფეროვნება იქნება წახალისებული; განსხვავებული გზებით ცოდნის დემონსტრირებისა და ერთმანეთისთვის გაზიარებით, მოსწავლეები ყურადღებას მიმართავენ ერთმანეთისკენ – გაკვეთილი ხდება უფრო საინტერესო, არამოსაწყენი; მცირდება სტრესი – მოსწავლეებს ეძლევათ უფლება, გამოხატვის იმ გზას დაეყრდნონ, რომელიც მათთვის უფრო ბუნებრივი და მოსახერხებელია.

დაამუშაოთი გზადმავარი მიდგომები სწავლის პროცესში

ინკლუზიურ სასწავლო გარემოში სწავლების უნივერსალური პრინციპის გამოყენების პარალელურად, მასწავლებელს კლასში აუცილებლად დასჭირდება სწავლების ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება. აღნიშნული მიდგომები სრულიად ეფექტურად გამოიყენება ურთიერთშემავსებლად.

ამ მიდგომების ერთგული მასწავლებელი, საგაკვეთილო პროცესის დიზაინისას, უპირველესად იხელმძღვანელებს სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებით და ყველა მოსწავლის მრავალფეროვანი თავისებურებების გათვალისწინებით

განსაზღვრავს სწავლების საჭირო სტრატეგიებს; იმავდროულად, მასწავლებელი ამით არ შემოიფარგლება და ცალკეული მოსწავლის განსაკუთრებული საჭიროების გათვალისწინებით, სწავლების დამატებით მხარდაჭერ მიდგომებსაც გამოიყენებს.

დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში მოსწავლეებს, რომლებსაც განსაკუთრებული ინდივიდუალური მხარდაჭერა ესაჭიროებათ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს უწოდებენ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები საჭიროებენ გაფართოებულ ინდივიდუალურ მხარდაჭერას სასწავლო პროცესში მონაწილეობისთვის, მისაწვდომობის სიროთულების დაძლევისა და აკადემიური პროგრესისთვის.

ამ სტატუსის დამკვიდრება განპირობებულია იმით, რომ საგანმანათლებლო სისტემა დაინტერესებულია იმ მოსწავლეთა იდენტიფიცირებით, რომლებიც სასწავლო პროცესში ეფექტური მონაწილეობისთვის განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებენ. მოსწავლეთა იდენტიფიცირებას დასპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებას, მოწყვება სწორედ ამ დახმარების/მხარდაჭერის მიწოდება.

დღეს საგანმანათლებლო სისტემა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, სასწავლო პროცესში უკეთესი მონაწილეობისთვის, მთელ რიგ დამატებით მომსახურებებსა და მხარდაჭერას სთავაზობს. ამ მხარდაჭერაში მოიაზრება: მოსწავლისთვის უფლების მინიჭება – ისწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით; მიიღოს დამატებითი სასწავლო ინსტრუქციები სპეციალური მასწავლებლისგან; ჰქონდეს დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობები ამა თუ იმ უნარის გაძლიერების მიზნით; ისარგებლოს მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტის მომსახურებით, სკოლის გარემოში უკეთესი ჩართულობისთვის; ჰქონდეს ინდივიდუალური განრიგი, დამხმარე საშუალებები და სხვ..

ხშირ შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლებისას,

მასწავლებელს მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება უწევს. სწორედ აღნიშნული გეგმაა ის ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც შეძლებს მოსწავლე სასწავლო პროცესში ჩართვას; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გარეშე კი ის საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყული დარჩება.

მნიშვნელოვანია, აღნიშნულმა სტატუსმა არ გამოიწვიოს მოსწავლის სტიგმატიზაცია. ეს სტატუსი არ ასოცირდება მოსწავლის შეზღუდულ უნარებთან, ნაკლოვანებებთან; ის გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ სისტემამ შეძლოს აღნიშნული მოსწავლეებისთვის საჭირო მხარდაჭერის აღმოჩენა.

მასწავლებელი, როგორც როლური მოდელი

სკოლაში მასწავლებლის უმთავრესი ამოცანა არ არის მხოლოდ მოსწავლეთა მრავალფეროვან ჯგუფებთან სასწავლო პროცესის წარმართვა; ეს, ასევე, არის საგანმანათლებლო პროცესში მოსწავლეთა შორის ეფექტური ინტერაქციის კულტურის დამკვიდრებაც. სასწავლო პროცესში მასწავლებელმა მოსწავლეებს არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნა უნდა გადასცეს, არამედ ისეთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებების ფორმირებას უნდა შეუწყოს ხელი, როგორიცაა, მაგალითად, საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი.

სხვადასხვა სასწავლო აქტივობასთან ერთად, ამ ღირებულებების დამკვიდრებას მასწავლებელი ყველაზე ეფექტურად მოდელირების გზით შეძლებს. ის თავად უნდა იყოს როლური მოდელი თავისი მოსწავლეებისთვის და ამ გზით აჩვენოს მათ სასურველი ქცევის პატერნები.

მასწავლებელს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ ქცევათა უმრავლესობის დასწავლა მოდელზე დაკვირვების შედეგად ხდება. ის კი უწყვეტად იმყოფება მოსწავლეთა დაკვირვებისა და ყურადღების ქვეშ. თუ მასწავლებელი, საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას, უპირატესად ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა უმრავლესობაზე და ნაკლებად მოახდენს ფოკუსირებას რაიმე ნიშნით განსახვავებულ ცალკეულ მოსწავლეზე, მაგ.: ნაკლებად ჩართავს საგაკვეთილო პროცესში ლინგვისტური უმცირესობის წარმომადგენლებს, გაიზრდება ალბათობა იმისა, რომ მოსწავლეებიც გაიმეორებენ ამგვარ ქცევას. შესაბამისად, თუკი მას სურს, რომ მოსწავლეებს გაუჩნდეთ მიმღებლობა განსხვავებული კულტურის წარმომადგენლების ან ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებულ პირთა მიმართ, პირველ რიგში, თავად უნდა აჩვენებდეს ამის მაგალითს მოსწავლეებთან ინტერაქციის პროცესში. მასწავლებელს მართებს ამ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და საუკეთესო როლური მოდელის ჩვენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=93>
2. სპეციალური მასწავლებლის გამკვლევი; შორენა ტყეშელაშვილი, ბაია კუბლაშვილი, ლია ქურციკიძე; 2021; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
3. სასწავლო აქტივობები ყველა ასაკის – სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში; მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი, უანა კვაჭაძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, ნათია გაჩეჩილაძე; 2017; World Vision, UNICEF.
4. ინკლუზიური განათლების გამკვლევი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი, შორენა ტყეშელაშვილი, ლია ქურციკიძე; 2021; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; Caritas Georgia.
5. დისკრიმინაციის ძირითადი კონცეპტები საერთაშორისო სამართალში; ნათია კინწურაშვილი; 2015.



ქაქას უფაქს, ვიქი

ეს ბიჭი გენციაგური

მე მაქვს უფლება, არ გავაზიარო ჩემი და ჩემი ოჯახის პირადი ინფორმაცია

მე მაქვს პირადი ცხოვრებისა და კონფიდენციალურობის უფლება. არსებობს კანონები, რომლებიც ჩემს პირად თუ ოჯახურ ცხოვრებას იცავს და მეხმარება, დავიცვა ჩემი რეპუტაცია პირადი ინფორმაციის საფუძველზე თავდასხმისგან.

(გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 16).



ნინო გოგიანი

სსიპ ჯამბულ ნურნუშიას სახელობის
ქალაქ თბილისის N 94 საჯარო სკოლის
დირექტორი

მშობელთან

ეფექტური კომუნიკაციის

გამოცდილება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეული, ყველა რგოლი, სკოლის კონცეფცია, მისია, ხედვა თუ სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტები მიმართულია ერთი მიზნისკენ – შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. ამასთანავე, საჯარო სკოლა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ეხმარება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში, უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებასა და კომპეტენციებს. სასწავლო პროცესის ინკლუზიურობა და მოსწავლეთა წარმატება ის მახასიათებლებია, რომლებიც, სკოლის მისიისა და ხედვის შესაბამისად, გვაახლოებს გრძელვადიან მიზანთან.

მოსწავლეთა წარმატება დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი, რომელსაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მოსწავლის წარმატების კოეფიციენტზე, არის მშობელი. როგორც არ უნდა იყოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, მშობლის მონაწილეობა შვილის

განათლების პროცესში მოსწავლის განვითარებაზე პოზიტიურად მოქმედებს.

მშობელთა ჩართულობა ნიშნავს მშობლების ინტენსიურ, მრავალმხრივ მონაწილეობას საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებში. ამ დროს მოსწავლეს უმაღლდება მოტივაცია, თვითშეფასება, უვითარდება სოციალური უნარები, მისი ქცევა ყველგან ხდება უფრო პოზიტიური; გარდა ამისა, მოსწავლე ხედავს, რომ მშობელი და მასწავლებელი მის გარშემო ერთიანდებიან და გრძნობს მათ ჰარმონიულ ძალისხმევას – ხელი შეუწყონ და გაზარდონ მოსწავლის აკადემიური მიღწევები. სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად მონაწილე მშობლების შვილებს უჩნდებათ მიკუთვნებულობის განცდა, უკეთესი ურთიერთობები უყალიბდებათ მასწავლებლებთან, სასკოლო თემთან. ასეთი პროცესების დინამიკა სასარგებლოა თავად მშობლისთვისაც: იცვლება მისი დამოკიდებულება სკოლისადმი, იცვლება მისი სოციალური, ემოციური მხარე და პიროვნული თვისებები, უჩნდება ნდობა სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მიმართ, ხდება თავდაჯერებული, ერთვება ბავშვის განათლებისა და აღზრდის პროცესში. თუმცა,

ამჩართულობამდე მისვლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა დღევანდელ საგანმანათლებლო სივრცეში.

მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის პრაქტიკის შესწავლას აქტუალურს ხდის მსოფლიოსა და საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ტენდენციები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემებით, 2013-2018 წლებში ქვეყნების მეოთხედმა მნიშვნელოვნად გაზარდა პერსონალისა და მშობლების შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო გადაწყვეტილებებში. 2020 წლიდან საერთაშორისო კვლევითმა ინსტიტუტმა დაიწყო საბავისო განათლების პროგრამა ქვეყნის ყველა საჯარო სკოლაში. აღნიშნული პროგრამის მიზანია მოსწავლეზე

ორიენტირებული სწავლების ინსტიტუციონალიზაცია საქართველოს სასკოლო სისტემაში. ამ მასშტაბური ძალისხმევის ერთ-ერთი საკვანძო მიმართულება არის სკოლებსა და მშობლებს შორის შედეგიანი თანამშრომლობის დანერგვა.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული წინგადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ქვეყანაში მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში რეალურად, ქმედითად ჩართვა გამოწვევაა დღესაც. რატომ უნდა, დაინტერესებული საზოგადოებისთვის რთული არაა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის სტრატეგიების შესახებ ინფორმაციისა მოპოვება ან შესაბამისი ლიტერატურის გაცნობა; მოგეხსენებათ, ასეთი ლიტერატურა უხვადაა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში (მათ შორის, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული



გამოცდილების გაზიარებაც), მაგრამ ერთია ცოდნა და მეორეა, როგორ გადმოვიტანთ მას ჩვენს რეალობაში, როგორ მოვარგებთ კონკრეტული სკოლის კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ ფსიქო-ემოციურ საჭიროებებს. აქ ძალიან დიდი სიფრთხილე და გონიერებაა საჭირო, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის რისკ-ფაქტორები, რომლებიც თან სდევს ასეთ პროცესებს სკოლაში.

ჩვენი სკოლის სტრატეგიული განვითარების ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი მიმართულება არის მშობლებთან ურთიერთობა. ჩვენ მიერთავიდანვე ჩატარებულმა ანონიმურმა ანკეტირებულმა კვლევამ დაგვანახა კონკრეტული საჭიროებები, რომელთა პრიორიტეტულ მიმართულებებად რანჟირების შემდეგ, დავიწყეთ შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და განსახორციელებელი მექანიზმების მოძიება.

პირველი ნაბიჯი იყო აბსოლუტური ღიაობის გამოცხადება — დილის 9 საათიდან საღამოს 19 საათამ-

დე, ნებისმიერ დროს მშობელს შეუძლია შემოვიდეს სკოლაში ადმინისტრაციის წევრებთან შესახვედრად, ნებისმიერი საჭიროების გამო, წინასწარ მის სახელზე დაშვებული საშვის საშუალებით (მშობელთა მიღებისთვის ფიქსირებული დღეებისა და პერიოდების გამოყოფაზე უარი ვთქვით დასახლების მოწყვლადი ჯგუფების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე). ამან გააჩინა ველი მეტი კომუნიკაციისთვის. პირველი მასშტაბური პროექტი იყო მშობელთა კლუბის „94-ე სკოლა და მშობლები“ შექმნა. მართალია, თავდაპირველად, დაწყებითი კლასების მასწავლებელმა მადონა ლაშხიამ ეს კლუბი ერთი კონკრეტული კლასის ბაზაზე შექმნა, მაგრამ კლუბის სწორად და ეფექტურად მუშაობის შედეგად, ძალიან მალე მასში უამრავი ადამიანი გაწევრიანდა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა მეტ მშობელთან გვექნოდა უშუალო კომუნიკაცია, მიგვეწოდებინა მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია, დაგვეგეგმა ერთობლივი



ლონისძიებები, დაგვეკავშირებინა კლუბის წევრები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასა თუ ასოციაციასთან, რომლებთან ურთიერთობამაც გვერ მათგანს, როგორც მშობელს, სარგებელი მოუტანა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დღეს ამ კლუბში გაერთიანებულია 1200 მშობელი (დედა, მამა, ბები, ბაბუა); კლუბს აქვს ოფიციალური facebook გვერდი (<https://www.facebook.com/groups/1963143173992365/>)

კლუბის მუშაობის პროცესში, აქტუალურ პრობლემებზე მსჯელობისას გამოიკვეთა საჭიროება, განსაკუთრებული ყურადღება გაგვემახვილებინა პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციის – „წიგნიერების“ მიმართულებით. კითხვის უნარების განვითარება ყველაზე მეტად განაპირობებს სასკოლო პროგრამის წარმატებით ათვისებას და განსაზღვრავს თითოეული პიროვნების ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

Timss და PIRLS კვლევების შედეგების მიხედვით (ამ კვლევებში ჩვენი სკოლაც მონაწილეობდა), საქართველოს სკოლებში აუცილებელია კითხვის უნარების განვითარება. უკეთესი შედეგები აჩვენებს იმ მოსწავლეებმა, რომელთა მშობლებსაც უყვართ კითხვა და შვილებთან ერთად ჩართულნი არიან კითხვის აქტივობებში. ამ მიზნით დაწყებითი კლასის მასწავლებელმა მადონა ლაშხიამ შექმნა „პატარა მკითხველთა კლუბი“, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ყოველკვირეულ აქტივობად განისაზღვრა – ერთობლივი კითხვის დღე. ყოველი კვირის არასამუშაო დღეს (შაბათი/კვირა) მშობლები ბავშვებთან ერთად იკრიბებიან სკოლაში, ერთად კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას ან უკვე წაკითხულს საკუთარ შვილებთან ერთად განიხილავენ, აანალიზებენ, წარმოადგენენ პრეზენტაციებს, მსჯელობენ ეკრანიზაციის თავისებურებებზე, ერთობლივად წარმოადგენენ როლურ თამაშებს. ამ აქტივობამ დადებითად იმოქმედა მოსწავლეთა მოტივაციაზე და ღირეუცის „თავსატეხი“ გავიჩინა – როგორმე მეტი საბავშვო მხატვრული ნაწარმოები შეგვეთავაზებინა მოს-

წავლეებისთვის (სკოლაში არსებული საბიბლიოთეკო ფონდის გარდა). გამოსავალი ვიპოვეთ და სკოლის მეოთხე სართულის თავისუფალ სივრცეში მოვაწყვეთ მინიბიბლიოთეკა, რომლის თაროებიც მშობლების, დასახლების წარმომადგენლებისა და მოსწავლეებისგან ნაჩუქარი, შემოწირული წიგნებით შეივსო. წიგნით სარგებლობაც თავისუფალია. მოსწავლე იღებს სასურველ წიგნს, ატარებს რეგისტრაციის ურნალში, მიუთითებს გატანისა და სავარაუდო მოტანის თარიღს. შედეგია ის, რომ ამ თაროებთან მუდმივად დგანან მოსწავლეები და არჩევენ წიგნებს.

კლუბში „94-ე სკოლა და მშობლები“ გაჩნდა კიდევ ერთი გრძელვადიანი პროექტის იდეა „მშობლის ერთი დღე სკოლაში“. ამ პროექტის მრავალმხრივ სიკეთებზე ბევრი რამის დაწერა შეგვიძლია; ამაზე ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ. რაც შეეხება პროექტის შინაარსს, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ, თითო კვირით, სამივე საფეხურის 5-6 მოხალისე მშობელი სასწავლო დღის დაწყებიდან დასრულებამდე იმყოფება სკოლაში – ჩართულია იმ დღეს მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან აქტივობაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აკვირდება გაკვეთილების მიმდინარეობას გარედან, გადაადგილდება დერეფანში, მეთვალყურეობასა და მონიტორინგს უწევს სანიტარულ-ჰიგიენურ კვანძებს, კვების ობიექტს, ინაწილებს პასუხისმგებლობას ღირეუცისთან ერთად. პროექტს მეორე წელია ვახორციელებთ. შედეგი:

- 1) მოხალისე მშობლების რაოდენობა ყოველ ჯერზე იზრდება.
- 2) მშობლებს გაუჩნდათ უპირობო ნდობა სკოლისადმი.
- 3) თემში ამაღლდა სკოლის ავტორიტეტი.
- 4) შეიცვალა დამოკიდებულებები, როგორც სკოლაში, ასევე თემში.
- 5) მოხალისე მშობლების შვილები გახდნენ მეტად აქტიურები, მეტად თავდაჯერებულები და პროდუქტიულები.



მიუხედავად ჩვენ მიერ განხორციელებული აქტივობებისა, სკოლაში არის ისეთი პრობლემები, რომლებიც, გარკვეული სუბიექტური მიზეზების გამო, ზოგჯერ ჩვენთვის უხილავია, სამაგიეროდ ხილულია მშობლებისთვის, თუმცა მშობელთა უმრავლესობა გაჩუმებას ამჯობინებს, რაც ისევ და ისევ მიუთითებს იმ სირთულეებზე, იმ რისკებზე, რომლებიც თან ახლავს მშობელთა ჩართულობის პროცესს. ასეთი რისკების თავიდან აცილების მიზნით, 2022–2023 სასწავლო წლის დასაწყისში გადაწყვიტეთ ყველა კლასში ჩამოგვეყალიბებინა მშობელთა სამუშაო ჯგუფები. ამ სამუშაო ჯგუფებთან ტარდება რეგულარული შეხვედრები, რომელთა ინიციატორები არიან თავად დირექციის წევრები. ეს ფორმატი გვაძლევს საშუალებას, თითოეულ კლასში არსებულ ნებისმიერი ტიპის პრობლემაზე ვისაუბროთ ღიად, განვიხილოთ, გავანალიზოთ და ერთად დავსახოთ გადაჭრის გზები. ამ პროექტის ფარგლებში, ეფექტური იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ დამფუძნებლის, ქალბატონ მეგი კავთუაშვილის, ჩართულობის უზრუნველყოფა და

ტრენინგკურსების შეთავაზება ჩვენი მხრიდან. აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა სასარგებლო და დროული აღმოჩნდა მშობლებისთვის. ჩვენი სკოლის სხვადასხვა კლასის 15 მშობელი დღესაც გადის ტრენინგებს „მშობელთა ციფრული განათლება“, თემებზე – კიბერუსაფრთხოება; მობილურისა და კომპიუტერის უსაფრთხოება; მშობლის კონტროლი; ძლიერი და სუსტი პაროლები; პერსონალური მონაცემები და მათი დაცვა; ყალბი ამბებისა და მასალების ამოცნობა; სოციალური ქსელები და უსაფრთხო მიმოწერა; საფრთხის შემცველი თამაშები და აპლიკაციები; ფიშინგი – ონლაინ თაღლითობა და მისგან თავდაცვა.

ვფიქრობთ, რომ ნამდვილად გვაქვს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის კარგი პრაქტიკა, რასაც სჭირდება გავრცელების, დანერგვისა და ინსტიტუციონალიზაციის ხელშესაწყობად, გამოცდილების რეგულარული გაზიარების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინტერნეტრესურსი www.kargiskola.ge;
2. სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა – ააიპ მშობლები განათლებისთვის; 2020 წელი; KONRAD ADENAUER STIFTUNG.



სანდო ინფორმაციაზე წვდომის უზღვევა



ჩემი უფლებაა, მივიღო სანდო ინფორმაცია

მე თავისუფალი ვარ, დავაფიქსირო ჩემი აზრი და ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ. მე მაქვს უფლება, მედია საშუალებიდან მივიღო ზუსტი ინფორმაცია, რომელიც აქტუალური და სასარგებლოა ჩემთვის და არ არის საზიანო ან შეურაცხმყოფელი სხვებისთვის. მე მაქვს უფლება, ვიფიქრო და ვირწმუნო რაც მსურს, ასევე, გავაზიარო ინფორმაცია, თუ ის ხელს არ უშლის სხვებს თავიანთი უფლებებით სარგებლობაში და არ აზარალებს მათ.

(გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 12, 13, 14 & 17).





კეთევან ბერიძე

ადვოკატი

მშობელთა თანასწორუფლებიანობის

შესახებ

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია მშობელთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ, რაც გულისხმობს, რომ მშობლებს შვილების მიმართ თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით“.

მშობლების უფლებაა, თავად განსაზღვრონ თუ ვისთან დასად უნდა იცხოვროს შვილმა. თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით, მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, ვისთან იცხოვრებს არასრულწლოვანი შვილი და, ასევე, მასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც. თუმცა, განქორწინების შემდეგ, როდესაც მშობლები ერთად აღარ ცხოვრობენ, ხშირად ისინი ვეღარ თანხმდებიან ბავშვთან ურთიერთობის წესებსა და პირობებზე. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთ-ერთი მშობელი შეიძლება უზღუდავდეს კიდევ მეორე მშობელს

ბავშვთან ურთიერთობას, რითაც არღვევს არა მხოლოდ მეორე მშობლის, არამედ ბავშვის უფლებასაც — ჰქონდეს ურთიერთობა მშობელთან. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს. დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, კვირაში რამდენჯერ უნდა ნახოს ბავშვმა ის მშობელი, რომელთანაც არ ცხოვრობს და ბავშვთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს წყვეტს სასამართლო, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. სასამართლო, აღნიშნული დავების განხილვისას, ხელმძღვანელობდა ბავშვის უფლებათა კონვენციით, მისი დამატებითი ოქმებითა და სამოქალაქო კოდექსით. 2019 წლის 20 სექტემბერს კი საქართველომ მიიღო „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომელმაც სიღმიესეულად მოაწესრიგა ბავშვთან დაკავშირებული საკითხები. ამ სპეციალური კანონის მიღების შემდეგ სპეციალურად გადამზადდნენ ადვოკატები და მოსამართლეები. შესაბამისი გამოცდის ჩაბარების საფუძველზე, ადვოკატებს მიენიჭათ დამატებითი სპეციალიზაცია და მხოლოდ სპეციალიზებულ პი-

რებს მიეცათ უფლება, მონაწილეობა მიიღონ ბავშვებთან დაკავშირებულ დავებში. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ ამოქმედების დღიდან, ბავშვთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმის წარმოება თუ სასამართლო პროცესი მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მიდგომით, რაც გულისხმობს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და მის დაკმაყოფილებას სხვადასხვა სპეციალისტის (აქ იგულისხმება სოციალური მუშაკი, ადვოკატი, ფსიქოლოგი, პედაგოგი და სხვ.) შეთანხმებული მუშაობით. მულტიდისციპლინური გუნდის ამოცანაა, შეაფასოს ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაადგინოს მისი საუკეთესო ინტერესები. სწორედ ამ

მიზნით, სასამართლო დავის დაწყების შემთხვევაში, შეჩერებულია მშობლის უფლება – იყოს ბავშვის წარმომადგენელი. ბავშვის ინტერესების დასაცავად, სასამართლო საქმეში რთავს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“, რომელიც ბავშვის ინტერესების დაცვის გარდა, სასამართლოს დამატებითი ინფორმაციის მოძიებაშიც ეხმარება. სასამართლო შესაბამისი განჩინებით ავალებს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლას, დავის საგანთან მიმართებით მხარეებისა და ბავშვის პოზიციის გამოკვლევას და თავისი დასკვნის/პოზიციის სასამართლოსთვის წარდგენას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკები ამოწმებენ ორივე მშობლის საცხოვრებელ პირობებს (რათა დაადგინონ, რამდენად არის ბავშვისთვის სათანადო გარემო), ატარებენ გასაუბრებას როგორც მშობლებთან, ისე ბავშვთან და შედეგების მიხედვით ამზადებენ





შესაბამის დასკვნას, რომელსაც წარუდგენენ სასამართლოს. შესაძლებელია, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელი იყოს ფსიქოლოგის მოწვევა, რომელსაც სასამართლო, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინტერესით, ჩართავს საქმეში. ფსიქოლოგმა სასამართლოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რა იქნება ბავშვისთვის უკეთესი. გარდა ამისა, ბავშვთან დაკავშირებული დავების დროს სასამართლო ყოველთვის ითვალისწინებს ბავშვის ასაკს, სქესს, ბავშვისა და მშობლის ურთიერთობას, რომელიმე მშობელთან მეტ „მიჯაჭვულობას“ და ა.შ. **ამასთან, ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი მოსმენა, რადგან ბავშვს აქვს უფლება, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც ეხება ან გავლენას ახდენს მის რომელიმე უფლებაზე და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება, მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.** როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია მშობელთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ, რაც გულისხმობს იმას, რომ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, მაგრამ ეს უფლებები შეუზღუდავი არ არის და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს. კერძოდ, თუკი,

განქორწინებული მშობლები ვერ თანხმდებიან ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის მკურნალობასთან, სწავლასთან, საზღვარგარეთ დასვენებასთან და სხვა, კანონმდებლობა აწესრიგებს მშობლის უფლების შეზღუდვის საკითხსაც, რათა არ დაზიანდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ამ დროს მშობელი, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი მიმართავს სასამართლოს მშობლის უფლების შეზღუდვის მოთხოვნით; სასამართლომ კი, მსგავსი დავის გადაწყვეტისას, უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს.

კანონმდებლობა, გარდა მშობლის უფლების შეზღუდვისა, ითვალისწინებს მშობლის უფლების ჩამორთმევასაც. ეს ხდება მაშინ, როდესაც ბავშვისთვის რომელიმე მშობელთან ურთიერთობა ზიანის მომტანია. მშობლის უფლების ჩამორთმევა არის უკანასკნელი ზომა, რომელიც სასამართლომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან ბავშვის ინიციატივით შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მშობელი ბავშვს უხეშად ექცევა ან მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ასევე, თუ ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ანდა ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მათხოვრობა და ა.შ.).



მაქვს უფლება, ავირჩიო მეგობრები

ჩემი უფლებაა, მყავდეს მეგობრები

მე მაქვს უფლება, გავერთიანდე მშვიდობიან
ასოციაციაში, ჯგუფებში, ავირჩიო მეგობრები
და შევხვდე სხვა ბავშვებს, თუ ეს ხელს არ
შეუშლის სხვა ადამიანებს თავიანთი უფლებებით
სარგებლობაში.

(გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 15).





ინა იმედაშვილი

მასწავლებელი, ავტორი

ვის აქვს უფლებები? ყველას!

ვინ გადაარჩენს ოლივერს?

რამდენიმე დღის წინ, ჩემი მეორეკლასელი მოსწავლეების დიალოგს შევესწარი – ერთი უსაყვარლესი გოგონა მეგობართან ჩიოდა, რომ ახალ სათამაშო კონსოლს მშობლები არ ყიდულობდნენ, არადა ხომ მისი უფლება იყო, რომ ჰქონოდა სასურველი ნივთი; მშობლები მის უფლებებს არღვევდნენ. მეორე გოგონა კი იმაზე წუხდა, რომ დედა უშლიდა სალომესთან მეგობრობას, არადა როგორ უყვარდა სალომე, მაგრამ დედას არ მოსწონდა სალომეს ოჯახი, ამიტომ საკუთარ შვილს მასთან მეგობრობა აუკრძალა. გოგონა დარწმუნებული არ იყო ჰქონდა თუ არა უფლება, ემეგობრა იმასთან, ვინც ძალიან მოსწონდა. ორივე გოგონა შეწუხებული ჩანდა; აშკარა იყო, ორივეს უჭირდა სიტუაციის გაანალიზება. სწორედ ამან გადამაწყვეტინა, მეცადა მეორეკლასელებთან ბავშვთა უფლებებზე საუბარი და ამ თემაზე დამეგვება გაკვეთილი. შესაძლოა ვფიქრობთ, რომ 7-8 წლის ბავშვები ჯერ არ არიან მზად ასეთი სერიოზული თემებისთვის, მაგრამ ეს ასე არაა; მთავარია, როგორ მივაწვდით მათ თემას, რას ვეტყვით და რა საშუალებებს გამოვიყენებთ, რომ ინფორმაცია მართივად აღსაქმელი იყოს.

ბავშვებმა თავიდანვე უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებების შესახებ, უნდა იაზრებდნენ, უფიქრდებოდნენ და მრავალმხრივ აანალიზებდნენ საკითხს. ცოდნა იარაღია და როდესაც იცი რა გეკუთვნის ამ სამყაროში, თავს მეტად დაცულად გრძნობ. დაცუ-

ლობა კი დღევანდელ, არც ისე მშვიდ და არც ისე უსაფრთხო გარემოში ძალიან საჭირო რამეა.

გარდა ამისა, დაწყებითი საფეხურიდანვე საუბარი ადამიანის უფლებებზე, ბავშვის უფლებებზე, ასევე, მსჯელობა ამ თემაზე საშუალო და მაღალ საფეხურზე, შესაძლოა, ჩაგვრისა და ბუღინგის პრევენციადაც კი იქცეს. ასეც იქნება, როცა იაზრებ, რომ შენს გვერდით მჯდომ ელენესაც იგივე უფლება აქვს, რაც შენ და რაც აფრიკის რომელიმე პროვინციაში ხისგან აშენებულ, შელახულ სკოლაში მყოფ ბავშვს ან, თუნდაც, ბრიტანეთის პრესტიჟული კერძო სკოლის მოსწავლეს; ამ დროს ღირებულებები, შეხედულებები, ფიქრების ულსხვაგვარად ეწყობა და, საბოლოოდ, ემპათიად და მიმღებლობად ყალიბდება.

უფლებების ცოდნა და გააზრება, თავისთავად, ვალდებულებების გააზრებასაც მოიცავს და შესაძლოა, სკოლის თუ კლასის წესებთანაც ჰქონდეს გადაკვეთის წერტილები.

რადგან ქართულს ვასწავლი დაწყებით კლასებში, რა თქმა უნდა ვარჩიე, საუბარი ბავშვთა უფლებებზე ქართულთან ინტეგრირებული ყოფილიყო. გადავწყვიტე, ისეთი ტექსტი შემეთავაზებინა ბავშვებისთვის, რომელშიც აშკარად ჩანდა პერსონაჟის უფლებების დარღვევა და ამის ამოცნობა პატარა მკითხველს არ გაუჭირდებოდა. ბევრი ძიების შემდეგ არჩევანი „ოლივერ ტვისტზე“ შევაჩერე; ამოვიღე პატარა ეპიზოდი, რომელიც გავამარტივე – ამოვიღე გარკვეული

ფრაზები, წინადადებები და მოვარგე ასაკობრივ ლექსიკას. აი ისიც:



„ყმაწვილებს აგურისკედლებიან დიდ დარბაზში აჭმევდნენ, რომლის ერთ ბოლოში დიდი ქვაბი იდგა. ამ ქვაბიდან, საჭირო საათებში, წინსაფრიანი ზედამხედველი, ერთი ან ორი ქალის დახმარებით, ფაფას არიგებდა. თითოეული ყმაწვილი ამ შესანიშნავი საკვების მხოლოდ ერთ ჯამს იღებდა, მეტს არა. გამონაკლისი დღესასწაულის დღეები გახლდათ, როდესაც მათ კიდევ ერგებოდათ პური – ორი უნცია და მეოთხედი.

ჯამებს გარეცხვა არ სჭირდებოდა. ბიჭები მას კოვზებით იქამდე ფხეკდნენ, ვიდრე ისევე პრიაღს არ დაიწყებდა; ამის შემდეგ ისხდნენ და ისეთი ხარბი თვალებით მისჩერებოდნენ ქვაბს, თითქოს მის გარშემო დალაგებული აგურების ჭამა სურდათ. თითებს გამალებით წუწნიდნენ, ზედ შემთხვევით დარჩენილი ფაფის ნარჩენის აღმოჩენის იმედით.

ოლივერ ტვისტი და მისი მეგობრები სამი თვე ითმენდნენ წამებას და ნელ-ნელა შიმშილით იხოცებოდნენ; ბოლოს ისეთი ხარბები გახდნენ და შიმშილისგან ისე გაავდნენ, ითათბირეს, წილი ყარეს, იმ საღამოს ვის უნდა ეთხოვა ზედამხედველისთვის ფაფის დამატება და წილი ოლივერ ტვისტს ხვდა.

მოსაღამოვდა. ბიჭებმა ადგილები დაიკავეს. მზარეულის წინსაფრიანი ზედამხედველი დიდ ქვაბთან დადგა. ზურგს უკან მისი ლატაკი თანაშემწეები გამწკრივდნენ. მწირი სადილის წინ გრძელი ლოცვა წაიკითხეს. ფაფა ჯამებში ჩამოარიგეს. ფაფა გაქრა. ბიჭები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ და თვალს უკრავდნენ ოლივერს, მის გვერდით მსხდომნი კი მუჟღუგუნებს არ იშურებდნენ. ის კი ჯერ სრულიად ბავშვი იყო; შიმშილისგან სასოწარკვეთილი და მწუხარებისგან გონებადაბინდული წამოდგა, ჯამითა და კოვზით ხელში ზედამხედველს მიუახლოვდა და საკუთარი თავხედობით ცოტათი შეშინებულმა უთხრა: მაპატიეთ, სერ, კიდევ მინდა.


ზედამხედველი, ტანსრული, მოსული მამაკაცი ამ სიტყვების გაგონებაზე გაფითრდა. რამდენიმე წამს გაოგნებული იდგა და პატარა მემამბოხეს მისჩერებოდა. მერე, თითქოს დასაყრდენს ეძებსო, ქვაბს მიეყუდა. მის თანაშემწეებს ენა გაოცებისგან ჩაუვარდათ, ოლივერს კი – შიშისგან. – რა მოხდა? – ბოლოს და



ბოლოს, მისუსტებული ხმით იკითხა ზედამხედველმა. – მაპატიეთ, სერ, – გაიმეორა ოლივერმა, – ფაფა კიდევ მინდა. ზედამხედველმა ოლივერს თავში ჩამჩა ჩასცხო, ხელები ჩასჭიდა და მთელი ხმით აყვირა.

ოლივერის დაუყოვნებელი დაპატიმრება გადაწყდა; სამარცხვინო და უპატიებელი დანაშაულის ჩადენიდან – ფაფის დამატებითი ულუფის მოთხოვნიდან ერთი კვირის განმავლობაში, საბჭოს ბრძნული და სულგრძელი გადაწყვეტილების თანახმად, ოლივერი ბნელ ოთახში ჰყავდათ გამოკეტილი.

ბიჭი მთელი დღე გულამოსკვნილი ტიროდა, ხოლო როდესაც ჩამოხდებოდა, თვალებზე ხელები აიფარა, სიბნელე რომ აღარ დაენახა, კუთხეში მიიყუწა და დაძინება სცადა. დროდადრო გამოიღვიძებდა, წამოჯდებოდა და მთელი სხეულით აკანკალდებოდა, მერე უფრო მჭიდროდ ეკვროდა ნესტიან კედელს,



თითქოს მისი მყარი ზედაპირი ამ უკუნეთში მარტო-ობისგან იცავდა.“

გაკვეთილი იდეების მოკრებით დავიწყეთ – ბავშვებს ყვითელ ბარათზე უნდა დაეწერათ, მათი აზრით, რის უფლება აქვთ; ვარდისფერ ბარათზე კი – რა უნდათ, რა სურთ. ბოლოს ყველა მოსაზრებას ერთად, დიდ ფორმატზე მოუყარეთ თავი. ამ აქტივობის მიზანი იყო, ბავშვებს დაენახათ განსხვავება უფლებასა და სურვილს შორის; რომ უფლება აუცილებელი და საჭირო რამეა, სურვილი კი, შესაძლოა, აუცილებლობას არ წარმოადგენდეს. მკვეთრი ზღვარი უნდა გაგვევლო გვეჩრდებინა და მივინათ შორის და ვფიქრობ, კარგადაც გამოგვივიდა; ამაში კი წინასწარ მომზადებული პრეზენტაცია და ვიზუალური მასალა დამეხმარა, ასევე კითხვები, რომლებსაც ბავშვებს ვუსვამდი და ისინი თავად მიდიოდნენ დასკვნამდე – რის გარეშე გაჭირდებოდა ცხოვრება და რა სჭირდებოდათ მათ სრულფასოვანი ცხოვრებისთვის. საბოლოოდ დავასკვნით, რომ საკვების მიღება აუცილებლობა და ყველა ბავშვის უფლებაა, ხოლო კარგი ველოსიპედი – სასიამოვნო და საოცნებო რამეა, ისევე, როგორც სუპერ თანამედროვე სათამაშო კონსოლი, თუმცა, მათ გარეშე შეიძლება არსებობა და ზიანი არ მიაღებათ. ამასობაში, ბავშვთა ძირითად უფლებებსაც გაეცნენ, რომლებიც ელექტრონულად ფერად ბარათებად მქონდა აწყობილი და არა მხოლოდ სიტყვები, ილუსტრაციებიც ახლდა თან. ეს

დეტალი განსაკუთრებით გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე.

გაკვეთილის დასაწყისში, ზოგადად, ადამიანის უფლებებსაც შევეხეთ და იმაზეც ვისაუბრეთ, რომ მსოფლიოს ყველა ბავშვს ერთნაირი უფლებები აქვს.

ამის შემდეგ წავიკითხეთ წინასწარ მომზადებული, ადაპტირებული ნაწყვეტი: „ოლივერ ტვისტიდან“. ბავშვები დავყავი ჯგუფებად და ვთხოვე, ტექსტში ეპოვათ, სად დაირღვა ოლივერის უფლებები და როგორ დაეხმარებოდნენ მას. უნდა ითქვას, რომ ამ დავალებას თავი მშვენივრად გაართვეს; მუშაობის პროცესში მსჯელობდნენ, წერდნენ, ჩანახატებს აკეთებდნენ; საბოლოოდ წარადგინეს საკუთარი ნამუშევრები, ამოიცნეს, რომ ოლივერს შიოდა, არ აძლევდნენ საკმარის საკვებს, რომ ოლივერზე ძალადობდნენ და მისი თავისუფლება შეზღუდეს. გარდა ამისა, ერთმა ჯგუფმა პერსონაჟის მიმართ ყვირილსაც გაუსვა ხაზი. ოთხივე ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ ოლივერის დასახმარებლად თავად მივიდოდნენ და გამოაპარებდნენ, ასეთი მოსაზრებები ბუნებრივიცაა თუ ასაკს გავითვალისწინებთ. ბოლოს ბავშვებს ბავშვთა უფლებების ცხელი ხაზიც გავაცანი: – 111, სადაც შეუძლიათ დარეკონ, თუ შეამჩნევენ, რომ მათი ან სხვა ბავშვის უფლებები ირღვევა. გადავწყვიტეთ, რომ კარგი იქნებოდა ეს ინფორმაცია რაც შეიძლება მეტ ბავშვს სცოდნოდა, ამიტომ სახელდახელოდ დავამზადეთ საინფორმაციო ბუკლეტები, სადაც ბავშვებმა ბავშვთა ძირითადი უფლებები ჩამოწერეს და იქვე ცხელი ხაზის ნომერიც მიაწერეს. ბუკლეტები დიდ დასვენებაზე სხვა კლასის მოსწავლეებს ჩამოურიგეს.

მეტ-ნაკლები ცვლილებით, აღნიშნული გაკვეთილი შეიძლება უფრო მაღალ კლასებშიც ჩატარდეს; შეიძლება სხვა ტექსტის, ფილმის ან ანიმაციის მოძიებაც; დღეებზე გადანაწილება ან პროექტის სახის მიცემაც კარგი იდეაა. ამ თემაზე მუშაობისას კარგი იქნება, თუ ბავშვები ინტერვიუებს ჩაწერენ მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, გააკეთებენ პატარა კვლევას, დაადგენენ ყველაზე მთავარ საჭიროებებს და ასე შემდეგ.

მასწავლებლებს კი ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი როლი და პასუხისმგებლობა გვაკისრია მოსწავლეების კარგ მოქალაქეებად ჩამოყალიბების არც ისე მარტივ საქმეში.

